გაზეთი ბიეჭრია. „ვერსია" ერთი

ვერსია

№27 (1569) 4 - 10 აგვისტო ოთხშაბათი 2021 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

რა გავლენას მოახდენს ადგილობრივი არჩევნები და როგორ გაზარდა კოვიდრეგულაციების შემსუბუქებამ ქართული ეკონომიკა

ანდრია გვიდიანი: „ეკონომიკა პრიორიტეტულია, მაგრამ პანდემიის მართვაც სერიოზული გამოწვევაა!"

გახდა თუ არა ავსტრალიელი ქალი მანიაკის მსხვერპლი და მივა თუ არა კვალი უცხოურ სპეცსამსახურებთან

„რუსეთის საგარეო დაზვერვაში მოქმედებს სპეცდანიშნულების გასაიდუმლოებული რაზმი, რომელსაც მოწინააღმდეგე ქვეყნებში დივერსიების მოწყობა ევალება"

გენრი დოლიძე: „საქართველოში საბჭოთა კავშირი ბრუნდება!"

„შეიძლება, ერთი მწერალი დაიმორჩილო, მაგრამ ვერ დაიმორჩილებ თავისუფლებას!"

მკვლელობა, რომელიც პროკურორმა შეუკვეთა

12 წლის ბიჭი გამოძიებას სწორ კვალზე გასვლაში დაეხმარა – სკანდალური საქმის დეტალები

125 დაცვის პოლიცია SECURITY POLICE

არსებობს თუ არა ფარმაცევტულ კომპანიებს შორის კარტელური გარიგებები

ფარმაცევტული ბაზრის მონიტორინგის ექსკლუზიური დეტალები

შინაგან საქმეთა სამინისტრომ 5 ივლისს, „თბილისი პრაიდის“ საწინააღმდეგო აქციის დროს მოძალადე კიდევ ორი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში ძალადობის მუქარით, უკანონოდ ხელის შეშლის, ძალადობითა და ძალადობის მუქარით დევნის და ჯგუფურად ჩადენილ ძალადობის ფაქტებზე, კიდევ ორი პირი – 1991 წელს დაბადებული გ.გ. და 1989 წელს დაბადებული გ.ხ. დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა – გ.გ.-მ და გ.ხ.-მ, მიმდინარე წლის 5 ივლისს, თბილისში, რუსთაველის გამზირზე, „თბილისი პრაიდის“ საწინააღმდეგოდ გამართული აქციის მიმდინარეობის დროს, ქაშუეთის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე, „ცხრა აპრილის“ ბაღში, ტელეკომპანია „ფორმულას“ ოპერატორს ჟურნალისტური საქმიანობაში ხელი შეუშალეს და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 225-ე მუხლის მე-2 ნაწილით მიმდინარეობს.

5-6 ივლისს გამართული აქციების მიმდინარეობის დროს, ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში ძალადობის მუქარით, უკანონოდ ხელის შეშლის, ძალადობითა და ძალადობის მუქარით დევნის, ასევე, ჯგუფური ძალადობის ფაქტებზე, სულ დაკავებულია 31 პირი, კერძოდ:

- **ჟურნალისტებისთვის პროფესიულ საქმიანობაში ძალადობის მუქარით, უკანონოდ ხელის შეშლის, ჯგუფური ძალადობისა და ძალადობის მუქარით დევნის ფაქტებზე დააკავეს 27 პირი;**
- **„თბილისი პრაიდის“ ოფისის დარბევისთვის, ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობის, ძალადობით ან ძალადობის მუქარით დევნის, ასევე, ბინის ან სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობის ჯგუფურად დარღვევის ფაქტზე დაკავებულია სამი პირი;**
- **ერთი პირი კი პოლიციამ მოქალაქის მიმართ ჩადენილი ძალადობისთვის დააკავა.**

დანაშაულში მონაწილე სხვა პირთა დადგენა-დაკავების მიზნით, გრძელდება საგამოძიებო-ოპერატიული ღონისძიებები.

პოლიციამ ნარკოდანაშაულისთვის ოთხი პირი დააკავა – ამოღებულია 5 კილო და 500 გრამი ნარკოტიკული საშუალება, ასევე 10 ლიტრი და 896 გრამი ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერება

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო შეძენა-შენახვის და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, სხვადასხვა დროს, ოთხი პირი: 1985 წელს დაბადებული ვ.ზ., 1995 წელს დაბადებული, უკრაინის მოქალაქე ი.ბ., 2001 წელს დაბადებული ე. ი. და 2000 წელს დაბადებული ნ. ნ. დააკავეს.

დანაშაული 8-დან 20 წლამდე ვადით ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალდამცველებმა, ვ.ზ.-ის პირადი ჩხრეკისას, 5 ლიტრზე მეტი ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერება ამოიღეს.

რაც შეეხება 1995 წელს დაბადებულ ი.ბ.-ს, გამოძიებით დადგინდა, რომ იგი დაკავშირებული იყო სოციალურ აპლიკაცია „ტელეგრამში“ არსებულ ნარკორეალიზატორთა ორგანიზებულ ჯგუფთან და საქართველოში ნარკოტიკული საშუალების უკანონო შემოტანას და ლოკაციებზე განთავებას ახდენდა.

პოლიციამ ი.ბ. თბილისში დააკავა. მისი პირადი ჩხრეკისას ამოღებულია 4 ცალი პლასტმასის ბოთლი, რომლებშიც მოთავსებული იყო 5 ლიტრამდე ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერება.

2001 წელს დაბადებული ე.ი. და 2000 წელს დაბადებული ნ.ნ., ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებთან ერთად, ნარკოდანაშაულისთვის დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში დააკავეს.

სამართალდამცველებმა, ე.ი.-სა და ნ.ნ.-ს პირადი ჩხრეკისას, დიდი ოდენობით სხვადასხვა სახის ნარკოტიკი ამოიღეს. ბრალდებულების სარგებლობაში არსებული ავტომანქანის ჩხრეკისას კი ამოღებულია 4 კილოგრამამდე ნარკოტიკული საშუალება „ოპიუმი“ და „ჰეროინის“ შემცველი 1 კილო და 600 გრამი ნარკოტიკული ნივთიერება.

პოლიციამ სულ ნივთმტიცებად ამოიღო: 5 კილო და 500 გრამი ნარკოტიკული საშუალება და 10 ლიტრი და 896 გრამი ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერება.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლით მიმდინარეობს.

შინაგან საქმეთა მინისტრმა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტთან შეხვედრა გამართა

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა საქართველოში ვიზიტით მყოფ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტთან, რიკ დემსთან შეხვედრა გამართა.

შეხვედრის ფარგლებში, მხარეებმა განიხილეს მიმდინარე აქტუალური საკითხები, მათ შორის, მოახლოებული ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები და საარჩევნო პროცესის უსაფრთხო და თავისუფალ გარემოში ჩატარების მნიშვნელობა.

შინაგან საქმეთა მინისტრმა, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტს დეტალური ინფორმაცია მიაწოდა მიმდინარე წლის 5 ივლისს, თბილისში განვითარებული მოვლენებისა და მედიის წარმომადგენლების მიმართ გამოვლენილი ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით მიმდინარე გამოძიებების შესახებ.

ვახტანგ გომელაურმა, რიკ დემსს მადლობა გადაუხადა საქართველოში დემოკრატიული პროცესების მხარდაჭერისთვის.

შეხვედრის დასასრულს, მხარეებმა ევროპის საბჭოსთან სამომავლო თანამშრომლობის გაღრმავების საკითხები განიხილეს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ საერთაშორისო სპეცოპერაციაში მიიღო მონაწილეობა – დაკავებულია დანაშაულებრივი დაჯგუფების ორი წევრი, ამოღებულია 368 კგ. „ჰეროინი“

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებთან ერთად, უკრაინაში, ნარკოტრანზიტის წინააღმდეგ ჩატარებულ საერთაშორისო სპეცოპერაციაში მიიღეს მონაწილეობა.

რვა თვის განმავლობაში მიმდინარე მასშტაბურ სპეცოპერაციაში სამი ქვეყნის – სომხეთის, საქართველოს ადა უკრაინის სამართალდამცველები მონაწილეობდნენ.

პოლიციამ მიმდინარე წლის 22 ივლისს, ქალაქ კიევში, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვის ფაქტზე დააკავა ორგანიზებული დაჯგუფების ორი წევრი, რომლებიც თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქეები არიან.

სომხეთის, საქართველოსა და უკრაინის სამართალდამცველებმა, ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფების მხილების მიზნით, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებების ფარგლებში, საერთაშორისო კონტროლირებადი მიწოდება განახორციელეს.

ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო ღონისძიებების ფარგლებში დადგინდა, რომ ტრანზიტულად გადასაზიდ ტვირთში დამალული იყო განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, რომელიც ირანის ისლამური რესპუბლიკიდან, სომხეთის რესპუბლიკისა და საქართველოს გავლით, უკრაინაში უნდა ყოფილიყო გადაზიდული, საიდანაც შემდგომი რეალიზაციის მიზნით, მისი ცენტრალურ ევროპაში გატანა მოხდებოდა.

პოლიციამ ნივთმტკიცების სახით ამოიღო განსაკუთრებით დიდი ოდენობით, დაახლოებით, 368 კგ. ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, რომლის ღირებულება შავ ბაზარზე, დაახლოებით, 75 000 000 ლარია.

გამოძიებას უკრაინელი სამართალდამცველები განაგრძობენ. დანაშაული 12 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სისხლიანი აგვისტო – საქართველოს უახლესი ისტორიის ყველაზე ტრაგიკული ეპიზოდი

ნინო დოლიძე

თანამედროვე რუსული ოკუპაციის ქრონოლოგია – ყველაფერი ის, რაც 13 წლის წინ ხდებოდა

ეს საქართველოს უახლეს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული და სისხლიანი ეპიზოდია. დიახ, ეს არის ეპიზოდი, რომელმაც „ერთმორწმუნე მეზობლისა“ და „უფროსი ძმის“ მითი საბოლოოდ დაამსხვრია, თუმცა ამის მიუხედავად, ისეთი ქართველები მაინც მოიძებნებიან, რომლებიც ირწმუნებიან, გინდა თუ არა, რუსეთს „ბაბაია“ უნდა დავუძახოთ და ოკუპანტობის მიუხედავად, მასთან ვასალური მოლაპარაკებებიც გავმართოთო. ამის დაშვება, რასაკვირველია, არ შეიძლება, ამიტომაც აგვისტოს ომის ქრონოლოგიას თვალი გადავავლოთ და კიდევ ეთხელ გავიხსნოთ, კრემლმა რა დღეები გამოგვატარა!

13 წლის წინ, რუსულ აგრესიას 228 მშვიდობიანი მოქალაქე, 169 სამხედრო, 14 პოლიციელი და 3 ჟურნალისტი ემსხვერპლა, დაიჭრა 1 747 ადამიანი, დავკარგეთ კოდორის ხეობა და შიდა ქართლის ათეულობით სოფელი. 150 000 ადამიანი იძულებული გახდა, საკუთარი სახლ-კარი დაეტოვებინა. აქედან, 30 000 დღესაც დევნილობაშია...

აგვისტოს ომი რუსული აგრესიის კულმინაცია იყო, თორემ ყველაფერმა სათავე გაცილებით ადრე, კერძოდ, 2008 წლის დასაწყისში აიღო ანუ 2008 წლის იანვრიდან მოყოლებული, ცხინვალისა და აფხაზეთის მარიონეტული რეჟიმები, რაღა თქმა უნდა, მოსკოვის დავალებითა და ხელშეწყობით, ვითარების ესკალაციას პერიოდულად ცდილობდნენ. ასე, მაგალითად, აპრილის დასაწყისში, ნატო-ს ბუქარესტის სამიტზე, მართალია, მაპ-ი არ მოგვცეს, მაგრამ ერთმნიშვნელოვნად ითქვა, საქართველო ალიანსის წევრი აუცილებლად გახდებაო.

ამან კრემლს წონასწორობა დააკარგვინა და ჯერ სერგეი ლავროვი დაიმუქრა, ყველაფერს გავაკეთებთ, რომ საქართველო ნატო-ს წევრი არ გახდესო. შემდეგ კი, თავად ვლადიმერ პუტინი გამოჩნდა არენაზე და სიტყვა-სიტყვით განაცხადა:

„რუსეთს, ნატო-ს პოზიციის საპასუხოდ, საშინაო მონახაზები აქვს!“

ეს მონახაზები კი, როგორც მოგვიანებით გამოჩნდა, ის იყო, რომ 31 მაისს, კრემლმა ოკუპირებულ აფხაზეთში, რკინიგზის ხაზის აღდგენის მოტივით, სარკინიგზო ჯარები შეიყვანა.

პარალელურად, გამწვავდა ვითარება ცხინვალის რეგიონში – ქართული სოფლები თითქმის ყოველდღიურად იბომბებოდა.

2008 წლის 30 ივლისი – რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო საგანგებო განცხადებას ავრცელებს, რომელშიც ნათქვამია, რომ საქართველოსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთს შორის, შეიარაღებული დაპირისპირების დაწყების საფრთხე რეალურია.

ამასთან, ომის დაწყებამდე, დაახლოებით, 20 დღით ადრე გავრცელდა ინფორმაცია, რომ ოსურმა მოსახლობამ ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორია დატოვა.

მედია იმასაც იუწყებოდა, რომ ცხინვალის რეგიონის ოსური მოსახლეობა საკუთარ საცხოვრებელ სახლებს რუსეთიდან გამოგზავნილი ავტობუსებით ტოვებდა.

ეს კი იმის პირდაპირი მინიშნება და ნიშანი იყო, რომ კრემლი ფართომასშტაბიანი საომარი ოპერაციისთვის ემზადებოდა.

2008 წლის 3-4 აგვისტო – ცხინვალის დე ფაქტო მთავრობის მიერ კონტროლირებადი ტერიტორიიდან ქართული სოფლები ინტენსიურად იბომბება. ასევე, იბომბება ფრონეს, დიდი და პატარა ლიახვის ხეობები.

ამას გარდა, რამდენიმე ტერაქტიც ხდება, კერძოდ, დიმიტრი სანაკოევისა და პოლიციის ავტომანქანებს აფეთქებენ.

ამ ერთთვიანმა დაძაბულობამ კულმინაციას 2008 წლის 7 აგვისტოს მიაღწია, რაც იმას ნიშნავს, რომ ოსი სეპარატისტების კონტროლირებადი ტერიტორიიდან დაწყებული საარტილერიო სროლის შედეგად, ორი ქართველი მშვიდობისდამცველი იჭრება.

დაჭრილი სამხედროები საქართველოს პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა გორის სამხედრო ჰოსპიტალში მოინახულა, მოგვიანებით კი, თბილისში დაბრუნებულმა საგანგებო განცხადება გააკეთა:

„მინდა, სრული პასუხისმგებლობით ვთქვა და ვაღიარო, რომ რამდენიმე საათის წინ, გავეცი ძალიან მტკივნეული ბრძანება, როგორც უმაღლესმა მთავარსარდალმა, რომ არც ერთმა ქართულმა შენაერთმა არ გახსნას საპასუხო ცეცხლი ძალიან ინტენსიური დაბომბვის შემთხვევაშიც“.

ისე, გამოხდება ხანი და სააკაშვილი აღიარებს, რომ ამ პირობის დაცვა-შესრულება ვერ შეძლო ანუ კონფლიქტის ზონაში შექმნილმა ვითარებამ და სადაზვერვო ინფორმაციამ ცხადჰყო, რომ როკის გვირაბიდან, რუსეთის რეგულარულმა ნაწილებმა შემოსვლა დაიწყეს. 7 აგვისტოს, ღამე, საქართველოს ტერიტორიაზე, როკის გვირაბის გავლით და ფსოუს საზღვრიდან, 20 ათასზე მეტი რუსი სამხედრო შემოვიდა.

იმისთვის, რომ დაცული ყოფილიყო საქართველოს სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა, ასევე, საქართველოს მოსახლეობის უსაფრთხოება, პრეზიდენტმა თავდაცვითი ოპერაციის დაწყების შესახებ ბრძანება გასცა.

არმიას საპასუხო ცეცხლით უნდა ჩაეხშო მოწინააღმდეგის საცეცხლე წერტილები, რის შემდეგაც, ცხინვალში ქვეითი ნაწილები შევიდოდნენ.

8 აგვისტოს, დილის 10.00 საათზე, თბილისის მერი გიგი უგულავა, მთავრობის სახელით, გორში საგანგებო განცხადებას აკეთებს:

„იცით, რომ ამ დროისთვის ცხინვალის, დაახლოებით, 70 პროცენტი – ვგულისხმობ თვითონ ქალაქს და მის შემოგარენ სოფლებს – დაკავებულია ჩვენი ჯარების მიერ. ჩვენი მთავარი ამოცანაა, ადგილობრივი მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა“.

უგულავას ამ განცხადებიდან, ზუსტად ორი საათის შემდეგ, ვითარება დრამატულად იცვლება ანუ სპეციალური პუნქტისა და კორიდორის შექმნის წინადადებას რუსეთმა ფართომასშტაბიანი სამხედრო ოკუპაციით უპასუხა და პირველ ეტაპზე, საქმეში სამხედრო ავიაცია ჩართო, რომელმაც ცხინვალის მისადგომებთან, ქართველი ჯარისკაცების პოზიციებზე მასობრივი იერიში მიიტანა.

ქართულმა არმიამ დიდი დანაკარგი განიცადა, მაგრამ ამის მიუხედავად, მიხეილ სააკაშვილი მოგვიანებით იტყვის, რომ 8 აგვისტოს, 22.00 საათზე, ქართულმა მხარემ ცხინვალის დაკავება შეძლო.

2008 წლის 9 აგვისტო, დილა – რუსეთს საავიაციო იერიში გორზე მიაქვს. იბომბება ქალაქში არსებული სატანკო ნაწილი და მის ახლოს მდებარე საცხოვრებელი სახლები. დაბომბვა ხდება ორჯერ – 15 წუთიანი ინტერვალით.

დასახლებული პუნქტი ბრძოლის წინა ხაზს ემსგავსება – იქაურობა სავსეა დახოცილებითა და დაჭრილებით.

პარალელურად, ინტენსიური ბრძოლა მიმდინარეობს ცხინვალის მისადგომებთან – საქართველოს არმიის მეორე ქვეითი ბრიგადის სადაზვერვო ჯგუფი რუსეთის 58-ე არმიასთან სასტიკ ბრძოლაში ერთვება. ქართული არტილერიისა და ტანკისტების თავდაუზოგავმა ბრძოლამ რუსეთის 58-ე არმია, სამწუხაროდ, ვერ შეაჩერა.

ცხინვალის პარალელურად, რუსეთის ჩრდილოეთ კავკასიის საარმიო დაჯგუფების ნაწილებმა შეტევა აფხაზეთის მიმართულებითაც დაიწყეს – მთლიანად იკავებენ ფოთი-ზუგდიდი-სენაკის მიმართულებას და კოდორის ხეობის დაჯგუფებას, რომელმაც მანამდე სტრატეგიული ხეობიდან მანევრით უკან დახევა მოახერხა, ზურგში მოექცნენ.

2008 წლის 10 აგვისტო – რუსული ავიაცია სოფლების მასობრივ დაბომბვას იწყებს და, როგორც მოგვიანებით გახდება ცნობილი, სხვა აკრძალულ იარაღთან ერთად, ე.წ. ვაკუუმურ, მოცულობით ბომბებსაც იყენებს. ასევე, რუსული ავიაცია ქართულ სოფლებს 500 კგ.-იან ჭურვებსაც ესვრის.

ცხინვალის რეგიონის სოფლების გარდა, რუსულ ავიაციას საჰაერო იერიში საქართველოს სხვადასხვა ქალაქში განთავსებულ სამხედრო ბაზებსა და აეროდრომებზეც მიაქვს.

კერძოდ, იბომბება ვაზიანის ბაზა, თბილისის საავიაციო ქარხანა, ქვიშიანის მთაზე მდგარი რადარი, ფოთის პორტი, სენაკისა და მარნეულის სამხედრო ბაზები.

საბოლოო ჯამში, რუსეთის 58-ე არმია, ცხინვალისა და სოხუმის სეპარატისტული რეჟიმების მიერ კონტროლირებად ტერიტორიებთან ერთად, ახალგორის რაიონს, კოდორის ხეობას, ზუგდიდს, გორის რაიონის რამდენიმე სოფელს და საჩხერის რაიონის სოფელ პერევსაც იკავებს.

რუსეთი ცეცხლს მხოლოდ საფრანგეთის იმდროინდელი პრეზიდენტის, ნიკოლა სარკოზის ჩარევის შემდეგ წყვეტს ანუ 12 აგვისტოს, სარკოზი 6-პუნქტიან სამშვიდობო გეგმას ჯერ ოფიციალურ მოსკოვთან, შემდეგ კი ოფიციალურ თბილისთან ათანხმებს.

ისე, მიუხედავად იმისა, რომ დიმიტრი მედვედევი, რომელიც რუსეთის ფედერაციის ოფიციალური პრეზიდენტია (სინამდვილეში, ის პუტინის მითითებების უსიტყვო შემსრულებელი გახლდათ) და ცეცხლის შეწყვეტის ბრძანებას გამოსცემს, რუსეთის საავიაციო ძალების მიერ საქართველოს დასახლებული პუნქტების დაბომბვა არ წყდება.

26 აგვისტოს, მედვედევმა აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების ბრძანება გამოსცა.

სხვათა შორის, აგვისტოს ომის ვნებები მეტ-ნაკლებად რომ ჩაცხრება, პოლიტიკურ კულუარებში ხმა გავარდება, რომ რუსი ოკუპანტების ერთ-ერთი სამიზნე სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“ იყო.

აგვისტოს ხუთდღიანი ომიდან 13 წელი გავიდა. „ომის თაობა“ გაიზარდა და...

რა გვასწავლა ამ 13-მა წელმა? – ამ კითხვაზე პასუხი არაერთგვაროვანია, თუმცა მთავარი ისაა, რომ 2008-ის მერე, კიდევ უფრო ნათლად და მკაფიოდ გამოჩნდა, რომ რუსეთი ერთმორწმუნე ძმა კი არა, ერთმორწმუნე ოკუპანტია, ოკუპანტი, რომლის ოკუპაცია დღესაც გრძელდება, თუმცა ამჯერად ტანკებით კი არა, არამედ, ჰიბრიდული ომით ცდილობს ჩვენს დაჩოქებას! ამიტომ, სიფხიზლე ისეა საჭირო, როგორც არასოდეს!

თათია გოჩაძე
598-43-50-34

ავსტრალიის მოქალაქის, 31 წლის შანეი ბრუკის განზრახ მკვლელობის საქმის ძიება გრძელდება. არსებული ინფორმაციით, მოკლულის სხეულზე დნმ-ის რამდენიმე ნიმუშია ნაპოვნი. ახალგაზრდა მასწავლებლის ცხედარს მრავლობითი დაზიანება აქვს, თუმცა რა გახდა სიკვდილის მიზეზი, ჯერ უცნობია. ავსტრალიის მოქალაქის მკვლელობაში სავარაუდო დამნაშავე იდენტიფიცირებულია, სამძებრო ოპერაცია კი მთელი ქვეყნის მასშტაბით გრძელდება. ქალის ცხედარი 31 ივლისს, მთაწმინდის ფერდობზე იპოვეს. მართალია, ბურუსით მოცულ მკვლელობასთან დაკავშირებით, მედიას მწირი ინფორმაცია აქვს, მაგრამ „ვერსია" დაინტერესდა, რა ვერსიებზე შეიძლება იყოს საუბარი... მაგალითად, რამდენად სავარაუდოა, რომ ავსტრალიელი ქალის მკვლელობაში რომელიმე ქვეყნის სპეცსამსახურის ხელი ერიოს ან, სულაც, საქმე რიგით კრიმინალურ შემთხვევასთან გვქონდეს, როცა თავდასხმა ძარცვის ან გაუპატიურების მოტივით ხდება? – ამ კითხვებით უსაფრთხოების ექსპერტებს – ვახტანგ მაისაიასა და ამირან სალუქვაძეს მივმართეთ.

„რუსეთის საგარეო დაზვერვაში მოქმედებს სპეცდანიშნულების გასაიდუმლოებული რაზმი, რომელსაც მოწინააღმდეგე ქვეყნებში დივერსიების მოწყობა ევალება"

გახდა თუ არა ავსტრალიელი ქალი მანიაკის მსხვერპლი და მივა თუ არა კვალი უცხოურ სპეცსამსახურებთან

ვახტანგ მაისაია: – ეროვნული უსაფრთხოების კუთხით რომ შევხედოთ, ჰიპოთეტური ვერსიის დონეზე, ასეთი ალბათობა გამორიცხული არაა, რომელიც შეიძლება, გამოყენებულ იქნას მსგავსი ტიპის პროვოკაციების განსახორციელებლად. საბჭოთა სპეცსამსახურები იყენებდნენ ტერორისტულ ორგანიზაციებს და სხვა ტიპის ჯგუფებს, რათა მისთვის სასურველ ქვეყანაში შეექმნა არასტაბილურობის იმიჯი. შემიძლია, გავიხსენო 1978 წლის 9 მაისს, იტალიის გავლენიანი პოლიტიკოსის, ყოფილი პრემიერ-მინისტრის გატაცება, რაც განხორციელდა „წითელი ბრიგადების" მიერ და ეს შეკვეთა მოდიოდა სწორედ საბჭოთა კავშირის სპეცსამსახურებიდან. შეიძლება, ეს რელევანტური „ქეისი" არაა, მაგრამ მაშინ „წითელმა ბრიგადებმა" შეძლეს იტალიის მოსახლეობის ტერორიზება. ეს პოლიტიკოსი ორი თვის შემდეგ იპოვეს მოკლული და ამან ხელი შეუწყო იტალიაში ამერიკული სამხედრო ბაზების განთავსების საკითხის გადადებას. ხაზს კიდევ ერთხელ ვუსვამ, რომ ეს, შეიძლება, არარელევანტური „ქეისია", მაგრამ თუ საქართველოში გარკვეული ქვეყნის სპეცსამსახურს სურს, სიტუაციის დაძაბვა და შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს, რომ ბოლო დროს გახშირდა უცხო ქვეყნის წარმომადგენლებზე თავდასხმები – გერმანელ დიჯეიზე, პოლონელ ტურისტზე... მოკლედ, არ გამოვრიცხავ, რომ რუსეთის სპეცსამსახურების „თხუნელები" იყვნენ ჩვენს სპეცსამსახურებში. გვქონდა ამის კონკრეტული ფაქტები. იგივე, იგორ გიორგაძის, შოთა კვირაიას, კახა თარგამაძის მაგალითებიც საკმარისია. ყველა სპეცსამსახურს აქვს თავის სპეციფიკური სტილი ანუ ხელწერა და შეიძლება, ექსკლუზიურადაც გითხრათ, რომ რუსეთის სპეცსამსახურების საინტერესო ხელწერას წარმოადგენს მოწინააღმდეგე ქვეყნების სპეცსამსახურებში თავისი აგენტურის ჩანერგვა და აქედან გამომდინარე, ტერმინი „თხუნელაც" კი გაჩნდა.

შეიძლება, ეს მოზაიკური ფაქტია, მაგრამ თუ ყველაფერს, მათ შორის, ავსტრალიელი მოქალაქის მკვლელობისა და უცხოელებზე თავდასხმების ფაქტებს გავაერთიანებთ, იქმნება ისეთი გარემო, რომ აშშ-მა საქართველო წითელ ზონად გამოაცხადოს.

– ანუ, საქართველოს დასავლეთის თვალში იმიჯი ელახება, არა?

– დიახ და ეს სპეცსამსახურების აქტუალურ მიმართულებას წარმოადგენს. რუსული სპეცსამსახურების საგარეო დაზვერვის სამსახურში მოქმედებს სპეციალური დანიშნულების ყველაზე გასაიდუმლოებული რაზმი, რომელსაც ევალება მოწინააღმდეგე ქვეყნების ტერიტორიებზე, საგაზვერვო-დივერსიული ოპერაციების ჩატარება...

– ბატონო ვახტანგ, გავყვეთ იმ ვერსიას, რომ ავსტრალიელი ქალის მკვლელობა რიგითი კრიმინალური შემთხვევაა, ვთქვათ, ძარცვის ან გაუპატიურების მოტივით... ეს ხომ დღის საათებში მოხდა, მთაწმინდის პარკი კი ხალხმრავალი ადგილია. როგორ უნდა აღკვეთოს სახელმწიფომ მსგავსი დანაშაული?

– დიახ, მეორე ვარიანტზეც შეიძლება საუბარი. არაა გამორიცხული, რომ ეს ყოფილიყო სერიული მანიაკი და შეიძლება, მანამდეც ყოფილიყო დაფიქსირებული მსგავსი ტიპის დანაშაულები. ეს ვერსია, სამწუხაროდ, მართალი აღმოჩნდა იმიტომ, რომ გარკვეული პერიოდით ადრე მოხდა რამდენიმე ტურისტზე თავდასხმა და შეიძლება, ანალოგიურ ფაქტებზე აღძრულიც კი იყოს სისხლის სამართლის საქმეები. დღეს, ბუნებრივია, არ გაიჟონება ეს ინფორმაცია, რადგან ამან შეიძლება, გამოიწვიოს პანიკა. სერიული მანიაკი არ გამოდის მხოლოდ ღამით, შეიძლება, მას გააჩნდეს გარკვეული სეზონური ქმედებები. მოკლედ, არც ეს ვერსია უნდა გამოვრიცხოთ, თუმცა სპეცსამსახურების სავარაუდო ქმედებაც ჰიპოთეტურ დონეზე უნდა დავუშვათ.

– იმ ვერსიის დაშვება ლოგიკურად მიგაჩნიათ, რომ მსხვერპლი იცნობდა სავარაუდო დამნაშავეს? ზოგს საეჭვოდ მიაჩნია, რომ ახალგაზრდა ქალი, მთაწმინდის მიდამოებში, მარტო შეიძლება ყოფილიყო...

– არა, მანდ ნამყოფი ვარ და მისარგებლია ამ ბილიკებით, რომლებიც განკუთვნილია ფეხით მოსიარულეთათვის. აქ უცნაური არაფერია, შეიძლება, ბევრი ადამიანი მოკლე გზით ავიდეს მთაწმინდაზე. მეორე ვარიანტი შეიძლება ის იყოს, რომ თუ ეს ქალბატონი ხშირად დადიოდა ამ გზით, შემჩნეული ჰყავდა, მაგრამ არ მიაქცია ყურადღება. მაინცდამაინც ისიც არაა უცნაური, რომ თავდასხმა დღის საათებში მოხდა, რადგან შესაძლოა, ეს ადამიანი წინასწარ ამზადებდა ყველაფერს და შექმნა მახე, როცა არავინ იყო ირგვლივ, გამოიყენა ეს მომენტი. სხვა ვერსიაა, რომ შეიძლება, მას ჰყოლოდა თანამზრახველი, რაც არაა გამორიცხული, მაგრამ ის, რომ მკვლელს წინასწარ ჰქონდა კარგად განზრახული დანაშაულის ქმედება და, როგორც ჩანს, მოფიქრებულიც ჰქონდა, სად დაემალა გვამი, ისეთი ადგილი შეარჩია, რომ 8-9 საათი ძებნა გახდა საჭირო. ასევე, არ გამოვრიცხავ, რომ თავდამსხმელს ჩადენილი ჰქონდა არაერთი დანაშაული. მანიაკს შეიძლება, ჰქონდეს იმპულსური აგრესიულობა ან შიზოფრენიის ის ფორმა, როცა სერიოზულად, შეგნებულად ახორციელებს და გეგმავს დანაშაულს.

მიმაჩნია, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური უნდა ჩაერიოს ამ გამოძიებაში და მხოლოდ შსს-ს პრეროგატივა არ უნდა იყოს. ავსტრალიელი მოქალაქის მკვლელობა არის საზარელი ტრაგედია და მინდა, მწუხარება გამოვუცხადო მის ოჯახსა და მეგობრებს, მაგრამ მოკლე პერიოდში, უცხოელებზე განხორციელებული, გახშირებული ძალადობრივი ქმედებების სერია, გარკვეულწილად, ინსინუაციების საფუძველს იძლევა.

* * *

ამირან სალუქვაძე: „თუ პირი იდენტიფიცირებულია, გამოძიებას, ალბათ, ექნება სავარაუდო ვერსიები. რაც შეეხება სპეცსამსახურებს, ამაზე საუბარი რთულია. არ მგონია, რომელიმე ქვეყნის სპეცსამსახურისთვის ყოფილიყო საინტერესო ეს პიროვნება თავის საქმიანობიდან გამომდინარე. ამაზე ჯერჯერობით ინფორმაცია არ არსებობს და ასეთ დროს, როცა ძალიან მწირია ინფორმაცია, ვერსიებზე საუბარი ყავაზე მკითხაობას ჰგავს. ამიტომ უნდა დაველოდოთ მეტ ინფორმაციას გამოძიების მხრიდან. მესმის საზოგადოების ინტერესი და სპეკულაციები ოპოზიციური ძალების და მათ შორის, მედიის მხრიდან, როცა ამბობენ, როცა სჭირდებათ, ვიდეომასალებს მალევე დებენო. ამ ფაქტს უკავშირებენ გარდაცვლილი ჟურნალისტის თემას. გარდაცვლილი ჟურნალისტის საქმეზე, დიდი ალბათობით, გამოძიება არ ეძებდა მკვლელს. ანალოგიური მკვლელობის ნიშნები რომ ყოფილიყო, სადმე პარკში ენახათ დაღუპული და ძალადობის ნიშნები გამოკვეთილიყო, მაშინაც არ გამოაქვეყნებდა გამოძიება კადრებს. ამ შემთხვევაში კი, როცა მიმდინარეობს რაღაც ვერსიებზე ჩამოყალიბება და შესაძლო დამნაშავის ძებნა, იმავეს გაკეთება ნიშნავს, რომ ხელი შეუშალო გამოძიების მსვლელობას. აქვე უნდა ვთქვა, რომ როცა მედია ცდილობს ლენტით შემოფარგლულ ზონაში შესვლას, ესეც აზიანებს გამოძიებას და ეს ძალიან კარგად იციან. ახლოსაც კი არ უნდა მივიდეს მედია, ამას კი არ ითვალისწინებენ.

საქართველოში ათეულობით მკვლელობა ხდება ყოველწლიურად ისევე, როგორც მთელ მსოფლიოში. აშშ-ის, ევროპის ქვეყნების რეიტინგს გადახედეთ უსაფრთხოების მხრივ. რასაც ოპოზიციურად განწყობილი ადამიანები და, მათ შორის, პოლიტიკოსები, ცნობადი სახეები აკეთებენ განცხადებებს ამ მკვლელობასთან დაკავშირებით, როცა ანტისახელმწიფოებრივი კამპანია დაიწყეს ტურიზმის ჩავარდნის მიზნით და ამას რომელი ქვეყნის სპეცსამსახური სჭირდება?! ჩვენ, ჩვენით ვაზიანებთ ქვეყანას და ამას უფასოდ ვაკეთებთ! რატომღაც ადამიანები თვლიან, რომ ხელისუფლებისთვის ბრძოლა ყველა მეთოდითაა შესაძლებელი და ტურიზმის ჩავარდნა მხოლოდ ხელისუფლების კი არა, ათასობით ადამიანს პრობლემაა. მთელი ეკონომიკაა მიბმული ტურიზმზე. მთელი კომპლექსია იმ სავარაუდო ზიანისა, რაც შეიძლება, მოჰყვეს ამ მავნე კამპანიას და შემდეგ ამის აღდგენა ძალიან რთული იქნება. არ შეიძლება, პოლიტიკური ინტერესებისთვის ამ ყველაფერს ზიანი მიაყენო და თუ ეს სპეცსამსახურების დაგეგმილია, გამოდის, რომ დღეს ვინც პოსტს ან კომენტარს წერს ან თავის უცხოელ მეგბრებს ეუბნება, საქართველოში არ ჩამოხვიდეთო, ჩართულია და ემსახურება უცხო ქვეყნების ინტერესებს, რადგან ვერავინ დამისაბუთებს იმას, რომ ეს კამპანია ქვეყნისთვის რაიმე სარგებლის მომტანია".

რა გავლენას მოახდენს ადგილობრივი არჩევნები და როგორ გაზარდა კოვიდრეგულაციების შემსუბუქებამ ქართული ეკონომიკა

მაია მიშელაძე
593-51-90-12

პრემიერ-მინისტრის შეფასებით, ხელისუფლების მიერ გადადგმული სწორი ნაბიჯების შედეგად, ქვეყანაში ეკონომიკის სწრაფი აღდგენა მიმდინარეობს. ამის დასტურად, ირაკლი ღარიბაშვილს „საქსტატის“ მონაცემები მოჰყავს, რომლის თანახმადაც ივნისში, ეკონომიკა 18.7%-ით გაიზარდა. „ეს ადასტურებს, თუ რაოდენ მაღალი ტემპით მიმდინარეობს ქვეყანაში ეკონომიკური ზრდა და ეკონომიკის აღდგენა. ჩვენს მოსახლეობას შევახსენებ, რომ ჩვენს მიერ გადადგმული სწორი ნაბიჯების შედეგად, ქვეყანაში ეკონომიკის სწრაფი აღდგენა მიმდინარეობს. აპრილში 45%-იანი, მაისში – 25%-იანი ზრდა გვქონდა, ხოლო ივნისში – 18.7%-იანი მაჩვენებელი დაფიქსირდა, რაც, რა თქმა უნდა, ძალიან სასიხარულო ამბავია ჩვენთვის. მინდა ასევე აღვნიშნო, რომ მაქსიმალურად ხელს შევუწყობთ ბიზნესს, რათა ახალი პროექტები დაფინანსდეს“, – აცხადებს მთავრობის მეთაური.

ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში, ანდრია გვიდიანი „ვერსიასთან“ საუბრისას პრემიერ-მინისტრის განცხადებას განმარტავს და ამბობს, რომ ეკონომიკის ზრდის ასეთი ტენდენციები კოვიდრეგულაციების გაუქმების პოლიტიკის შედეგია.

ანდრია გვიდიანი: „ეკონომიკა პრიორიტეტულია, მაგრამ პანდემიის მართვაც სერიოზული გამოწვევაა!“

– ბატონო ანდრია, ირაკლი ღარიბაშვილი ამბობს, რომ წლის ბოლოს, ეკონომიკის ორნიშნა ზრდა გვექნება, რა აძლევს პრემიერს ასეთი ოპტიმიზმის საფუძველს?

– როგორც იცით, ვიდრე ღარიბაშვილი პრემიერ-მინისტრად დაინიშნებოდა, მთელი რიგი შეზღუდვები გვქონდა. მისი გაპრემიერების შემდეგ კი კოვიდრეგულაციები მოიხსნა ანუ ახალმა პრემიერმა აქცენტი ახალ პოლიტიკაზე გააკეთა, რაც ნაკლებ რეგულაციებსა და კოვიდშეზღუდვებს გულისხმობს. შესაბამისად, რაც უფრო ნაკლებადაა შეზღუდული ეკონომიკა, ეს, ბუნებრივია, ავტომატურად იმას ნიშნავს, რომ ეკონომიკური აქტივობა იზრდება. სხვათა შორის, ეს ქართული ნოუ-ჰაუ კი არა, საერთაშორისო პრაქტიკაა. მაკროეკონომიკური პარამეტრები ანუ ეკონომიკური ზრდის ის მაჩვენებლები, რაც ბოლო თვეების განმავლობაში გვაქვს, თავიდან ბოლომდე, ახალ პოლიტიკასთანაა დაკავშირებული, რომელსაც ბატონი ირაკლი ღარიბაშვილი წარმართავს.

მოკლედ გადავხედოთ ჩვენი ეკონომიკის ძირითად პარამეტრებს: წინა წლის მაჩვენებლებთან შედარებით, საწარმოთა ბრუნვა 50.3%-ით გაიზარდა, ახლად რეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობა – 12.5%-ით, ექსპორტი – 45.0%-ით, ფულადი გზავნილები – 42.4%-ით, ხოლო საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა – 180%-ით. ეს ფაქტორები პირდაპირ გვეუბნება, რომ ეკონომიკის ზრდის ასეთი ტენდენცია ნებისმიერ ფასად უნდა შევინარჩუნოთ. დღეს მთავარი ბრძოლის ხაზი ეკონომიკის სწრაფ აღდგენაზე გადის. ეს ტენდენციები კი იმ შემთხვევაში გაგრძელდება, თუ ნაკლები რეგულაციებითა და შეზღუდვებით ვივლით, მაგრამ ამავდროულად, მეორე ფაქტორიც უნდა გავითვალისწინოთ, რაც ეკონომიკაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია და ესაა ჯანმრთელობის მდგომარეობა. რა თქმა უნდა, ეკონომიკა პრიორიტეტულია, მათ შორის, ნებისმიერი პოლიტიკა ორიენტირებული უნდა იყოს ეკონომიკური ზრდის გაუმჯობესებასა და მაქსიმალურად სწრაფ ზრდაზე, მაგრამ ჩვენთვის პანდემიის მართვაც სერიოზული გამოწვევაა. ამ კუთხით, ერთადერთი სწორი და ეფექტური გზა ვაქცინაციის მაღალი ტემპია.

ევროპის სტატისტიკას თუ გადავხედავთ, იმ ქვეყნებში, სადაც ვაქცინაცია სწრაფი ტემპით მიდის, სიკვდილიანობა მინიმუმამდეა დაყვანილი. სხვადასხვა ქვეყნების სტატისტიკის მიხედვით, ფართო ვაქცინაციის შემდეგ, დაინფიცირების ყოველდღიური შემთხვევებისა და სიკვდილიანობის შეფარდება, დაახლოებით, 80%-ით შემცირდა. რა თქმა უნდა, ეს მოცემულობა ადასტურებს, რომ პანდემიის დამარცხების ერთადერთი გზა სწრაფი ვაქცინაციაა – სხვა გამოსავალი, უბრალოდ, არ არსებობს! უკვე შემოტანილია საკმაო რაოდენობით ვაქცინები და ეს პროცესი მომავალშიც გაგრძელდება.

კოვიდსტატისტიკის მიუხედავად, შეზღუდვების ახალ ტალღას ჩვენი ეკონომიკა ვეღარ გაუძლებს. აქედან გამომდინარე, ახლა ბეწვის ხიდზე უნდა გავიაროთ, რაც ნიშნავს, რომ სწრაფი ვაქცინაციითა და ჰიგიენის ელემენტარული წესების დაცვით, ამ ტალღას უნდა გავუმკლავდეთ. ხელისუფლება და ხალხი ერთ მხარეს უნდა დადგეს და სწრაფი ვაქცინაციითა და ელემენტარული რეგულაციებით (პირბადის ტარებით), ეს პროცესი უნდა გადავაგოროთ.

– ჩვენ ახლა მოსახლეობის სოციალურ პასუხისმგებლობაზე ვსაუბრობთ. სხვათა შორის, შეზღუდვების შერბილების შემდეგ, ხალხის გარკვეული ნაწილი პირბადის გარეშე დადის არა მარტო ქუჩაში, არამედ, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებსა და ტრანსპორტშიც. მეორე მხრივ, ბიზნესის მთავარი გზავნილი რეგულაციების შერბილებაა, რა ზომებს უნდა მივმართოთ ამ დროს?

– აქ რამდენიმე ფაქტორი მოქმედებს: სწრაფად მოხსნილმა რეგულაციებმა საზოგადოებაში გააჩინა მოსაზრება, რომ პანდემია დასრულდა, რაც მცდარი და არასწორი შეხედულებაა. შესაბამისად, ის, რომ ვიღაცები პირბადეებს აღარ იკეთებენ, სწორედ ამის შედეგია. მეორე ფაქტორი ცნობიერების საკითხია – მაქსიმალურად უნდა ვიმუშაოთ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზე. მიუხედავად იმისა, რომ პანდემიასთან დაკავშირებით, საზოგადოების ცნობიერება მნიშვნელოვნადაა გაზრდილი, ეს პროცესი მომავალშიც უნდა გავაგრძელოთ, რათა ცნობიერების ამაღლების ხელშემწყობი კამპანიები გავაძლიეროთ. ფაქტია, რომ ამ მხრივ, პრობლემები ნამდვილად გვაქვს. იმაშიც გეთანხმებით, რომ საზოგადოებრივ ტრანსპორტში, დახურულ სივრცეებსა და პირად ურთიერთობებშიც კი, ადამიანების დიდი ნაწილი საერთოდ არ ხმარობს პირბადეს. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, ამის წინააღმდეგ ბრძოლის ერთადერთი ეფექტური მექანიზმი ცნობიერების ამაღლების კამპანიების გაძლიერებაა.

სხვათა შორის, ისიც მნიშვნელოვანი საკითხია, რომ ცნობადი სახეები, მათ შორის, პოლიტიკოსების ნაწილიც კი, ვაქცინაციას, პირბადის ტარებასა და ზოგადად, ეპიდემიასთან ბრძოლის საკითხებს ხშირად პოლიტიკური ბრძოლის იარაღად იყენებენ. ეს პანდემიასთან ბრძოლის დისკრედიტაციაა, რაც დაუშვებელია! თითოეული ადამიანის დამსახურებაა, თუ ქვეყანაში წარმატებული მდგომარეობაა ისევე, როგორც წარუმატებლობაც თითოეული ჩვენგანის ბრალია. აქედან გამომდინარე, არ შეიძლება, ეპიდემიოლოგებსა და ხელისუფლებაზე ხელის შეწმენდა. ქვეყნის ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა თითოეულ მოქალაქეზეა დამოკიდებული და ეს კარგად უნდა გავიაზროთ.

გარდა ამისა, ძალიან ცუდი ტენდენციაა, რაც ხაზგასმით მინდა აღვნიშნო – მას შემდეგ, რაც ეპიდსიტუაცია გაუარესდა და იყო ხარვეზები ვაქცინაციის პროცესშიც, ჩვენი ეპიდემიოლოგებისა და ექიმების დისკრედიტაციის პროცესი დაიწყეს უპასუხისმგებლო პოლიტიკოსებმა და სამოქალაქო საზოგადოების ცალკეულმა წარმომადგენლებმა. არადა, პანდემიის პირველი ტალღის დროს, როდესაც ვირუსის შესახებ არაფერი ვიცოდით და სიბნელეში ხელების ცეცებით დავდიოდით, ჩვენი ექიმების – ამირან გამყრელიძის, თენგიზ ცერცვაძისა და პაატა იმნაძის იმედი გვქონდა. დღეს კი, სუბიექტური თუ ობიექტური ხარვეზების გამო, სწორედ ამ ადამიანებს ვლანძღავთ, რაც მორალურად და ადამიანურადაც კი, არასწორად მიმაჩნია. ჩვენი ეპიდემიოლოგების დისკრედიტაცია, პანდემიასთან ბრძოლის დისკრედიტაციას უწყობს ხელს, რაც თავის მხრივ, ცნობიერების ამაღლების კამპანიას უკავშირდება – საზოგადოება აღარ ენდობა იმ ადამიანებს, რომლებიც ყველაზე კარგად ერკვევიან პანდემიის მართვაში. დისკრედიტაციის კამპანიების შედეგად, ქვეყანაში აღარ დატოვეს ავტორიტეტი, რომელიც იტყვის, რომ პირბადე აუცილებლად უნდა ვატაროთ, რაც ქვეყანასაც აზიანებს და მოსახლეობასაც.

– ბატონო ანდრია, 2 ოქტომბერს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებია. ზოგადად, არჩევნები ინფლაციას აჩქარებს, გარდა ამისა, ინფლაციის თვალსაზრისით, შემოდგომა ისედაც სენსიტიური პერიოდია. ამ პროცესის გათვალისწინებით, რამდენად რეალურია პრემიერ-მინისტრის ის პოზიტიური ეკონომიკური მოლოდინი, რომლითაც ინტერვიუ დავიწყეთ?

– ზოგადად, არჩევნებისა და ეკონომიკის ურთიერთკავშირი, თავიდან ბოლომდე, მოლოდინების მართვას უკავშირდება, კერძოდ, რა მოლოდინი აქვს ბიზნესს. ისეთი ტიპის არჩევნებზე, სადაც არ არის მოსალოდნელი გართულებები, გარკვეული ტიპის პოლიტიკური დესტაბილიზაცია ან სხვადასხვა საფრთხი, ვგულისხმობ, თუნდაც ქუჩის აქციებს, ბიზნესს პოზიტიური მოლოდინი აქვს. ასეთ დროს, არჩევნებს დიდი გავლენა არ აქვს ეკონომიკურ პროცესებზე, თუმცა იმ შემთხვევაში, როდესაც დესტრუქციული ძალები ცდილობენ პოლიტიკურ პროცესში იყვნენ აქტიურები და მათი დღის წესრიგიც, თავიდან ბოლომდე, დესტრუქციას უკავშირდება, ასეთი ტიპის არჩევნები ნეგატიურ გავლენას ახდენს ეკონომიკაზე და აქ პანდემია არაფერ შუაშია. ნებისმიერი სხვა, არაპანდემიური წელიც რომ ავიღოთ, თუ საზოგადოებაში, ბიზნესსა და ინვესტორებში ნეგატიური მოლოდინებია არჩევნებთან და ზოგადად, პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებით, ცხადია, ეკონომიკაზეც ნეგატიურ გავლენას ახდენს.

ზოგადად, პოლიტიკური პროცესის სტაბილური მართვა მნიშვნელოვანია. ვფიქრობ, ეს ხელისუფლების გამოწვევაცაა და იმავდროულად, ვალდებულებაც, თუ როგორი საარჩევნო, ასევე, პოსტსაარჩევნო პერიოდი გვექნება. თუ ხელისუფლება ამას მიაღწევს, რა თქმა უნდა, ეკონომიკაში პოზიტიური ტენდენციები გაგრძელდება და ასეთ შემთხვევაში, არავითარი გართულება არ გველის. სამწუხაროდ, როდესაც ქვეყანაში არის ოპოზიცია, რომელიც ორიენტირებულია დესტრუქციასა და ობსტრუქციაზე, რა თქმა უნდა, არსებობს იმის რისკი და საფუძველი, რომ არჩევნები ეკონომიკისთვის რისკის შემცველი იყოს. წინასწარ ძნელია იმის გაზომვა, რა გავლენა ექნება არჩევნებს ეკონომიკაზე, მაგრამ გიმეორებთ, ეს არის მოლოდინისა და აღქმის საგანი – ვინ როგორ აღიქვამს და ვის რა მოლოდინი აქვს. იმედი ვიქონიოთ, რომ ხელისუფლება ამ პროცესს წარმატებით გაართმევს თავს.

გენრი დოლიძე: „საქართველოში საბჭოთა კავშირი ბრუნდება!“

„შეიძლება, ერთი მწერალი დაიმორჩილო, მაგრამ ვერ დაიმორჩილებ თავისუფლებას!“

თათია გოჩაძე, 598-43-50-34

მწერლებმა ლიტერატურული პრემია „ლიტერადან“ საკუთარი ნაწარმოებები ერთმანეთის მიყოლებით მოხსნეს. პროტესტის მიზეზი კულტურის მინისტრ თეა წულუკიანის მიერ, ჟიურის წევრად იოსებ ჭუმბურიძის დანიშვნა გახდა ანუ წინა წლებში, „ლიტერას“ ჟიურიში სამინისტროს წარმომადგენელი არ ჰყოლია და შესაბამისად, დაჯილდოების ცერემონიამდე, ჟიურის წევრების ვინაობაც არავინ იცოდა ხოლმე. წელს კი, 5-კაციანი ჟიურის ერთი წევრი, როგორც აღვნიშეთ, სამინისტრომ დანიშნა და ცერემონიამდე, წევრების ვინაობის დაჯილდოვებამდე გასაჯაროებაც საჭირო სწორედ ამიტომ გახდა. „ლიტერას“ ჟიურის შემადგენლობა ასეთი იყო: ლიტერატურათმცოდნე ბელა წიფურია, მწერალი რეზო თაბუკაშვილი, მწერალი და კრიტიკოსი ლელა კოდალაშვილი, ლიტერატურათმცოდნე და მთარგმნელი ოქტაი ქაზუმოვი და პუბლიცისტი იოსებ ჭუმბურიძე.

კულტურის მინისტრის პოლიტიკის გამო, „ლიტერას“, პროტესტის ნიშნად, საკუთარი სურვილით გამოეთიშნენ: ბესიკ ხარანაული, ვახტანგ ჯავახაძე, გელა ჩარკვიანი, ტორესა მოსი, მათე სარალიშვილი, ნატალია ავალიანი, ირაკლი კაკაბაძე და სხვები... კაკაბაძემ „ბოლშევიკური წესიც“ კი უწოდა მწერალთა სახლის ორგანიზებულ კონკურსში სამინისტროს წარდგენილი ჟიურის წევრის ჩასმას.

„არსებულ ვითარებაში, შეუძლებელი ხდება წლევანდელი ლიტერატურული კონკურსის „ლიტერას“ ჩატარება,“ – ამის შესახებ კი, მწერალთა სახლის განცხადებაშია აღნიშნული:

„ლიტერატურული პრემია „ლიტერა“, 2015 წელს, მწერალთა სახლის ინიცირებითა და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით დაარსდა. პრემია ყოველწლიურია და 6 ნომინაციაში გაიცემა.

წელს, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის N00007864 (03.06.2021) ბრძანებით, შეიცვალა ჟიურის დაკომპლექტების წესი: სამინისტროს მიერ დაფინანსებული ნებისმიერი კონკურსის ჟიურის შემადგენლობაში, ერთი წევრი სამინისტროს წარმომადგენელი უნდა იყოს. შესაბამისად, „ლიტერას“ ჟიურიში, რომლის ხუთივე წევრსაც აქამდე მწერალთა სახლი ირჩევდა და სამინისტროს წარუდგენდა შესათანხმებლად, წელს, პირველად, ერთი წევრი კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ შეარჩია.

მწერალთა სახლი ბრძანების გაცნობისთანავე ეცადა სამინისტროსთან დიალოგსა და კომუნიკაციას განხორციელებული ცვლილების გადახედვის თაობაზე, რასაც სამინისტროს მხრიდან რეაგირება არ მოჰყოლია.

შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, მწერალთა სახლმა, პროცესის გამჭვირვალობის მიზნით, ჟიურის შემადგენლობა გაასაჯაროვა.

ჟიურის დაკომპლექტების წესის ცვლილებას ლიტერატორთა პროტესტი მოჰყვა. საზოგადოებამ სამინისტროს გადაწყვეტილება შემოქმედებით საქმიანობაში ჩარევად შეაფასა. შესაბამისად, მწერლებისა და გამომცემლების დიდმა ნაწილმა უარი თქვა კონკურსში მონაწილეობაზე და უკან გაითხოვა საკონკურსოდ წარდგენილი განაცხადები. მუშაობაზე უარი თქვა მწერალთა სახლის მიერ შერჩეულმა ჟიურის ოთხმა წევრმაც. საკონკურსოდ წარდგენილი 110 წიგნიდან, გამომცემლობებისა და ავტორების პირადი განცხადებების საფუძველზე, კონკურსიდან დღეისთვის მოხსნილია 92 წიგნი. არსებულ ვითარებაში, შეუძლებელი ხდება წლევანდელი ლიტერატურული კონკურსის „ლიტერას“ ჩატარება.

მწერალთა სახლი იმედს იტოვებს, რომ სამინისტროსთან და ლიტერატურული სფეროს წარმომადგენლებთან ერთად, კიდევ ერთხელ განიხილავს არსებულ სიტუაციას და გამონახავს საუკეთესო გამოსავალს მომავალი წლისთვის.

მწერალთა სახლის საქმიანობის უმთავრესი მიმართულება მწერლების, მთარგმნელებისა და გამომცემლების, ასევე, საგანმანათლებლო და კულტურული სფეროს მხარდაჭერა, პოპულარიზაცია და განვითარებაა“, – აღნიშნულია განცხადებაში.

„ვერსია“ მწერალსა და სამოქალაქო აქტივისტ გენრი დოლიძეს ესაუბრა:

– გენრი, წულუკიანის მიერ, ჟიურის წევრის დანიშვნა ცენზურად აღიქვით?

– კი, თავისთავად, ეს საბჭოური მეთოდია – ცენზურის მცდელობა, ხელისუფლების ჩარევა ლიტერატურულ პროცესში და არგუმენტი, რადგან სახელმწიფო აფინანსებს, „კარტბლანში“ აქვს და თვითონ წყვეტს, ვინ იქნება ჟიურის წევრიო, ძალიან უსუსურია. ეს, დაახლოებით, იმას ჰგავს, ბათუმის ან თბილისის „დინამოს“ რომ სახელმწიფო აფინანსებს და მინისტრმა გადაწყვიტოს, რომელი ფეხბურთელი ითამაშებს ძირითად შემადგენლობაში. ამ კონკრეტულ კონკურსს, „ლიტერას“ ჰყავს სარედაქციო კოლეგია, რომელმაც უნდა მიიღოს გადაწყვეტილება. მინისტრს შეუძლია, რეკომენდაცია მისცეს ან გამართოს შეხვედრა ამ კოლეგიასთან, მაგრამ შეხვედრის გარეშე, ჟიურის დანიშვნა შეურაცხმყოფელიცაა, თუმცა წულუკიანი ხელოვნების სფეროს წარმომადგენლების „მოსათვინიერებლადაა“ მისული. ჩემდა სამწუხაროდ, თეატრალებმა ვერ გამოიჩინეს ის წინააღმდეგობა, რასაც მიჩვეულები ვართ ქართველი თეატრალებისგან – გვახსოვს, რასაც თეატრი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ აკეთებდა...

– რას გულისხმობთ?

– თუნდაც იმას, რაც სენაკში მოხდა, როცა წულუკიანმა ჟურნალისტს მიკროფონი წაართვა და ტაშს უკრავდნენ თეატრის წარმომადგენლები, პოზიტიურად იყვნენ განწყობილნი წულუკიანის ამ საერთაშორისო მასშტაბის სამარცხვინო საქციელის მიმართ! ამას მთელი მსოფლიო ხედავდა და მგონი, არსად ყოფილა მსგავსი პრეცენდენტი, რომ მოქმედმა მინისტრმა ჟურნალისტს წაართვას მიკროფონი და ამით იამაყოს – ამ მიკროფონს სხვადასხვა სივრცეში დაატარებდეს. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ საქართველოში საბჭოთა კავშირი ბრუნდება, ოღონდ საბჭოთა კავშირის ბოლო პერიოდშიც კი, უფრო ლოიალური და თავისუფალი იყო პოლიტიკა კულტურის მიმართ. 30-იანი წლების შემდეგ, კულტურის სამინისტროს მწერლობის, ხელოვნების, კულტურის მიმართ, ასეთი რეპრესიული პოლიტიკა არ ჰქონია.

– ანუ, რაც თეატრალებმა ვერ თუ არ გააკეთეს, მწერლებმა გააკეთეს – ორგანიზებული პროტესტი დაიწყეს, არა?

– დიახ. იყო ცალკეული ადამიანების წინააღმდეგობა, მაგრამ ერთიანობა ვერ აჩვენა თეატრმა. მწერლებმა კი ერთიანობა აჩვენეს. ასეთი უპრეცედენტო ერთიანობა ძალიან მნიშვნელოვანია, თუმცა აქვე აღვნიშნავ, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ წინა ხელისუფლების დროსაც იყო რეპრესიული პოლიტიკა, მწერალთა კავშირი გამოასახლეს, მწერლები „ჩარეცხილად“ გამოაცხადეს. ეს თამაში წინა ხელისუფლებასაც არ გაუვიდა და ბოლოს, უკან დაიხია.

მწერლობა არ არის კონკრეტული ელექტორალური სეგმენტი, რომელსაც ხელისუფლება, შეიძლება, პოლიტიკის ნაწილად თვლიდეს. აუცილებელია, რომ მწერლობა იყოს თავისუფალი და ვითარდებოდეს ავტონომიურად. საერთოდ არ უნდა იყოს პოლიტიკის ნაწილი და უმჯობესია, თუ ჩვენს ქვეყანაში კერძო ბიზნესი აიღებს საკუთარ თავზე კონკურსების ჩატარებას და სახელმწიფო არ ჩაერევა, რადგან ვხედავთ, რომ სადაც სახელმწიფო ერევა, მმართველ სახელისუფლებო გუნდს ამბიციებიც უჩნდება.

– გასათვალისწინებელია დღევანდელი პოლიტიკური გარემოც ანუ არჩევნების წინ, „ლიტერას“ ჟიურის წევრის სამინისტროსგან დანიშვნა, მწერლებმა ერთგვარ გაფრთხილებად ხომ არ უნდა აღიქვან?

– გვახსოვს ფრანკფურტის ფესტივალის „ქეისი“, როდესაც ხელისუფლებამ გადაწყვიტა, წიგნის ცენტრიდან მოეხსნა ხელმძღვანელი, მაშინ მწერლებმა გაუწიეს წინააღმდეგობა და სტატუს-კვო შენარჩუნებული იქნა. ეს, დაახლოებით, წელიწადნახევრის წინ მოხდა, მაშინ სხვა მინისტრი იყო, თუმცა ხელისუფლებამ გადაწყვიტა, თავისი წარმომადგენელი დაენიშნა ფესიტვალზე და იმ ადამიანების ჩახსნა უნდოდა, რომლებიც წლების განმავლობაში მუშაობდნენ. ახლა კი ეს არის რევანშის მცდელობა, რადგან ხელისუფლებამ უკვე იცოდა, რომ მწერლებს ვერ დაიმორჩილებდა... საუბარია დიდ ნაწილზე და არა იმ ერთეულ ადამიანებზე, რომლებიც „48 პლაკატებით“ გამოდიოდნენ სალომე ზურაბიშვილის მხარდასაჭერად. საუბარია იმ თავისუფალ საზოგადოებაზე, რომელიც წარმოადგენს მრავალფეროვან სპექტრს. შეიძლება, ერთმანეთთან დაპირისპირებულებიც კი არიან, მაგრამ ხელისუფლება ვერ დაიმორჩილებს. იციან, რომ მათი მხარდაჭერა არ აქვთ და უნდათ ამ ადამიანების ჩაჩოჩება, „ჩახსნა“ და საკუთარი ერთგული, მონური ფსიქოლოგიის ადამიანების მოყვანა, რომლებიც თავადაც წერენ ხოლმე... აი, მაგალითად, ჭუმბურიძეს სტატუსში ეწერა, მინისტრსაც მოვახსენე, რომ ეს ნაწარმოები მომეწონაო... ანუ, ჭუმბურიძემ ირიბად აღიარა, რომ იმას, რასაც კითხულობდა, უთანხმებდა მინისტრს, რომელი ნაწარმოები მოსწონდა, რომელ ავტორზე რას ფიქრობდა და ა.შ. როგორც ჩანს, წულუკიანს თავად არ გააჩნია იმის კვალიფიკაცია, რომ გაარჩიოს, რომელი ავტორი ცუდია და რომელი – კარგი. ასე რომ, ეს იყო რევანშის მცდელობა იმის გამო, რაც ფრანკფურტის ფესტივალზე მოხდა, თუმცა აქაც ერთიანობა გამოიჩინეს მწერლებმა, რაც ძალიან კარგია.

– რადგან კვალიფიკაცია ახსენეთ, გკითხავთ, წულუკიანის კულტურის მინისტრად დანიშვნას ამ სფეროს წარმომადგენელთა პროტესტი მოჰყვა, ვინაიდან მიიჩნევდნენ, რომ ასეთი ხისტი პოლიტიკოსი კულტურის მინისტრი არ უნდა ყოფილიყო. როგორ აფასებთ მის საქმიანობას?

– ვფიქრობ, ხელისუფლებას კულტურა არ აინტერესებს. ჩვენს ქვეყანას კულტურის სამინისტრო არ აქვს. ერთხელ უკვე გააუქმეს კულტურის სამინისტრო, ამ უწყების ახლიდან შექმნა კი პოლიტიკურად ორმაგ მიზანს ემსახურება – წულუკიანს, რომელიც ყველაზე ძველი, გავლენიანი მინისტრია და აღარ სჭირდებოდათ იუსტიციის სფეროში, პარლამენტიდანაც თავისი ხისტი განცხადებების გამო მოიცილეს, შეუქმნეს საკუთარი სამინისტრო. ამასთან, მეორე საქმესაც აკეთებინებენ – თეატრებში, ანსამბლებში, ლიტერატურულ თუ სხვა, სახელმწიფო დოტაციაზე მყოფ სფეროებში, ორგანიზაციებსა და სახელოვნებო წრეებში ცდილობენ, გაატარონ რეპრესიული პოლიტიკა და შექმნან ცენტრალიზებული სისტემა ისე, როგორც სხვა სფეროებშია. მაგალითად, როგორც პედაგოგებს უგდებენ რესურს-ცენტრები ლინკს, „დავაგულოთ“ ჩვენი პრემიერ-მინისტრიო და ყველა შეესევა, როგორც ტროლები, ასევე უნდათ, კულტურის სფეროშიც იგივე იყოს...

– წეღან თქვით, წინა ხელისუფლებასაც არ გაუვიდა მწერლებთან რეპრესიული პოლიტიკაო. ხელოვანთა დამორჩილება, ოდესმე, რომელიმე ხელისუფლებამ შეძლო?

– გამორიცხულია! შეიძლება, ერთი მწერალი დაიმორჩილო, მაგრამ ვერ დაიმორჩილებ თავისუფლებას! დიქტატურის პირობებში კი არსებობენ მონები, მაგრამ არიან ადამიანები, რომლებიც იდეას ემსახურებიან. შეიძლება, მოკლა ადამიანი, მაგრამ იდეა არ კვდება. თუ ერთ ადამიანს დაიმორჩილებ და წაართმევ თავისუფლებას, სხვა ადამიანის გულსა და ნაწარმოებში დაიბადება იდეა, მაგრამ ამას ესენი ვერ ხვდებიან. ამათ ჰგონიათ, რომ სახელებისა და გვარების დამორჩილებით ან რეპრესიით შესაძლებელია კულტურის დამორჩილება. არადა, კულტურა და ხელოვნება ცოცხალი ორგანიზმია და როცა რეჟიმი მკაცრდება, უფრო მკაცრდება წინააღმდეგობა. საბჭოთა კავშირის დროს, ამის ნათელი მაგალითი გვქონდა, ძალიან დიდი ანტისაბჭოთა შედევრები იქმნებოდა კინოშიც, თეატრსა და ლიტერატურაშიც...

დასასრული მე-8 გვერდზე

არსებობს თუ არა ფარმაცევტულ კომპანიებს შორის კარტელური გარიგებები

მაია მიშელაძე, 593-51-90-12

ფარმაცევტული ბაზრის მონიტორინგის ექსკლუზიური დეტალები

უახლოეს დღეებში, საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო პრემიერ-მინისტრს და საზოგადოებას ფარმაცევტული ბაზრის მონიტორინგის შედეგებს წარუდგენს. მანამდე, ირაკლი ღარიბაშვილმა, 2 აგვისტოს გამართულ მთავრობის სხდომაზე ფარმაცევტულ ბაზარზე არსებულ მდგომარეობასა და წამლების ფასზე ისაუბრა. მისი თქმით, ქვეყანაში მედიკამენტების ფასები საკმაოდ მაღალია, რაც სტატისტიკური მონაცემებითაც დასტურდება.

„ამის გამო, ყველა უკიდურესად შეწუხებული და შეშფოთებულია. მე მქონდა არაერთი საუბარი კონკურენციის სააგენტოს ხელმძღვანელთან, რომელიც მუშაობს აღნიშნულ ანგარიშზე – მონიტორინგის შუალედურ ანგარიშს წარმოგვიდგენს უახლოეს რამდენიმე დღეში. ასევე, მინდა, დავავალო ჯანდაცვის მინისტრს, მასთან მჭიდრო კოორდინაციაში ვიყოთ და დროულად წარვუდგინოთ საზოგადოებას არსებული ვითარების ანალიზი და შემდეგ გამოსავლის გზებიც დავსახოთ. არ მინდა, წინასწარი დასკვნები გავაკეთო, მაგრამ არსებობს ინფორმაცია, რომ ზოგიერთ წამალზე 300 და 400%-იანი ფასნამატია დადებული კომპანიების მხრიდან, რაც აბსოლუტურად მიუღებელია! არც ერთ ქვეყანაში მსგავსი რამ არ ხდება! ჩვენ ეს კარგად უნდა შევისწავლოთ და მივიღოთ შესაბამისი გადაწყვეტილებები უმოკლეს დროში, რადგან ყველაფერი ეს, ჩვენი მოსახლეობის კეთილდღეობაზე აისახება“, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მართალია, საქართველოს კონკურენციის ეროვნულ სააგენტოს ფარმაცევტული ბაზრის შუალედური მონიტორინგის ანგარიში ჯერ არ წარუდგენია, მაგრამ „ვერსიასთან“ ინტერვიუში, სააგენტოს თავმჯდომარე ირაკლი ლექვინაძე ამ ანგარიშის დეტალებს ექსკლუზიურად გვიმხელს.

– ბატონო ირაკლი, ვიდრე ფარმაცევტული ბაზრის მონიტორინგის შედეგების საბოლოო დასკვნას მოამზადებთ, მითხარით, რა მნიშვნელოვანი ტენდენციები გამოიკვეთა?

– უახლოეს დღეებში, ამოვწურავთ საბოლოო კონსულტაციებს რამდენიმე დაინტერესებულ მხარესა და უწყებასთან, რადგან მონიტორინგის მთავარი ნაწილი ჩვენი რეკომენდაციებია. სწორედ რეკომენდაციებით უნდა ვუპასუხოთ იმ პრობლემას, რაც ფაქტებსა და ზუსტ ინფორმაციაზე დაყრდნობით, პრემიერმა მთავრობის სხდომაზე გააჟღერა, ვგულისხმობ ძალიან კონტრასტულ მარჟებს მედიკამენტების ფასებზე, რაც რეალობაა. პრინციპში, შემიძლია გითხრათ, რომ ჩვენს მონიტორინგში გარკვეული სურათია, სადაც ჩანს, რომ მომხმარებლებს იმაზე მეტის გადახდა უწევთ მედიკამენტებში, ვიდრე უფრო გახსნილი და კონკურენტული ბაზრის პირობებში შეიძლებოდა ყოფილიყო.

ჩვენი მონიტორინგის ნაწილი, რასაც განვასაჯაროვებთ, შუალედურ შედეგზე იქნება ორიენტირებული, რომლის მთავარი ნაწილი რეკომენდაციები იქნება.

აქვე, იმასაც გაგიმხელთ, რომ ჩვენი მონიტორინგი რამდენიმე მიმართულებას მოიცავს: ერთია ბაზრის ზოგადი ეკონომიკური ანალიზი – როგორია ბაზრის სტრუქტურა, როგორია კომპანიების მდგომარეობა, გვაქვს თუ არა დომინირებული მდგომარეობები. ამ ნაწილში, შემიძლია გითხრათ, რომ ფარმაცევტულ ბაზარზე მაღალი კონცენტრაცია შეინიშნება – არიან კომპანიები, რომელთა წილები ბაზარზე საკმაოდ მაღალია.

მეორე მიმართულება ის გახლავთ, რომ საქართველოში ყველაზე მოთხოვნადი 6 ჯგუფის მედიკამენტები ავიღეთ, რაც ჯამში, 100 დასახელებას გულისხმობს და მონიტორინგში, მათი ფასწარმოქმნის ანალიზს წარმოგიდგენთ. სრულყოფილ ანალიზს წლის ბოლოს შემოგთავაზებთ, მაგრამ რამდენიმე მიმართულებას ამ ანგარიშშიც ავსახავთ.

ამ ნაწილში, ზუსტად უნდა ვთქვათ, როგორია საბაზრო და არასაბაზრო ფაქტორების წილი, ასევე, როგორია კონტრასტული მარჟების წილი. შესაძლოა, სადღაც 20% და 10%, სადღაც – 200% ან 400%-ია, ამიტომ ჩვენ უნდა ავხსნათ, რამდენად სწორი პრაქტიკითაა ეს მარჟები მიღებული.

მონიტორინგის მესამე მიმართულება გახლავთ კანონმდებლობის ანალიზი და ამას რეკომენდაციების გარკვეული ნაწილი უპასუხებს, სადაც ვიტყვით, რა იქნება საჭირო ბაზრის უფრო მეტი გახსნილობისა და მეტი კონკურენტუნარიანობისთვის, რა თქმა უნდა, ჩვენი გადასახედიდან. პირდაპირ გეუბნებით, კონკურენციის ეროვნული სააგენტო ფასების მაკონტროლებელი არ გახლავთ, მაგრამ თუ ფასწარმოქმნაში არასაბაზრო ფაქტორების წილია და თუ ამას კონკურენციის კანონმდებლობა ფარავს, ამ ნაწილში, ჩვენი გადასახადედიდან დანახულ საკითხებს ავსახავთ, ცხადია, კანონმდებლობასთან მიმართებაში.

საბოლოო ჯამში, ჩვენი აზრით, ფარმაცევტულ ბაზარს უფრო მეტი გახსნილობა სჭირდება, რაც ნიშნავს, რომ მომხმარებლებს უფრო მეტი დანაზოგის გაკეთება შეეძლებათ, თუ უფრო კონკურენტული და გახსნილი ბაზარი იქნება. ბაზრის უფრო მეტ გახსნილობას, უფრო მეტი სისტემური მიდგომები სჭირდება, როგორც კანონმდებლობის, ასევე, სხვადასხვა საკითხების გათვალისწინებით. სწორედ ეს საკითხები აისახება ჩვენს მონიტორინგში. უფრო კონკრეტულ დეტალებზე, ანგარიშის განსაჯაროვების შემდეგ ვისაუბროთ.

– როდის წარადგენთ ფარმაცევტული ბაზრის მონიტორინგის ანგარიშს?

– ყველა დაინტერესებულ მხარესთან საბოლოო კონსულტაციებს ამოვწურავთ და უახლოეს დღეებში წარვადგენთ.

– ამბობთ, ფარმაცევტულ ბაზარზე დომინირებული მდგომარეობა შეინიშნებაო და ეს იმას ნიშნავს თუ არა, რომ მედიკამენტების ფასებთან დაკავშირებით, ცალკეულ კომპანიებს შორის კარტელური ან თუნდაც ოლიგოპოლიური შეთანხმება ფიქსირდება?

– არა, ნამდვილად არ ნიშნავს. შესაძლოა, ბაზარზე ერთი კომპანიის ან კომპანიების ჯგუფის დომინირებული მდგომარეობა იყოს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ რაიმე დარღვევას აქვს ადგილი. თუ დომინირებული მდგომარეობის გამოყენება ხდება ბოროტად ან თუ რამდენიმე მოთამაშის შეთანხმებულ ქმედებას აქვს ადგილი, ამას შესაბამისი ფაქტები და მტკიცებულებები სჭირდება, რისთვისაც ცალკე აღებული მოკვლევის პროცესია საჭირო.

თუ მონიტორინგი აჩვენებს, რომ რაღაც ნაწილში, შესაძლებელია მოკვლევის ეტაპზე გადასვლა, მერე ამ მიმართულებითაც შეიძლება მუშაობა. თუმცა, როგორც გითხარით, ამ ეტაპზე, მონიტორინგის მიზანი ბაზრისა და მისი კონკურენტუნარიანობის შეფასება, ასევე, რეკომენდაციების პაკეტის წარდგენაა, თუ რა სჭირდება ბაზარს უფრო მეტი გახსნილობისთვის.

– 6 ჯგუფის მედიკამენტების მონიტორინგის დროს თუ გადააწყდით კონკრეტულ ფაქტებს, როდესაც ამა თუ იმ წამლის ფასი 300 და 400%-ით იყო გაზრდილი?

– ფარმაცევტული ბაზრის მონიტორინგის საბოლოო შედეგებს დაველოდოთ, სადაც ყველაფერი დეტალურად იქნება აღწერილი. იმიტომაც გითხარით, ბაზარი საკმაოდ კონტრასტულია-თქო, რომ პროცენტული ფასნამატებია. ამიტომ, გთხოვთ, ანგარიშის განსაჯაროვებას დაველოდოთ. შესაძლოა, ამ მონიტორინგში მედიკამენტების ყველა ჯგუფის კვლევა ვერ მოესწროს, რადგან ამისთვის, წლის ბოლომდე გვაქვს დრო, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, ანგარიშში კონკრეტული მაგალითები იქნება და საზოგადოება შეიტყობს, სად ვხედავთ პრობლემურ წერტილებს.

გენრი დოლიძე: „საქართველოში საბჭოთა კავშირი ბრუნდება!“

მე-5 გვერდიდან

– ისე, გენრი, ამბობთ, პოლიტიკა და კულტურა ერთმანეთში არ უნდა აერიოსო. არადა, თქვენ, ხელოვანი, პოლიტიკაში წახვედით, შემდეგ კი ელისაშვილის პარტია დატოვეთ. ხომ არ ფიქრობთ, რომ პოლიტიკაში წასვლა თქვენი შეცდომა იყო?

– პოლიტიკიდან კი არა, პარტიიდან წამოვედი.

– გასაგებია, მაგრამ ახლა უფრო სამოქალაქო აქტივიზმს ეწევით...

– დღემდე ვფიქრობ, რომ აუცილებელია, კულტურული, ინტელექტუალი, თავისუფლებისათვის მებრძოლი ადამიანების ჩართვა ხელისუფლების სხვადასხვა შტოში. წარმოიდგინეთ, წულუკიანის ნაცვლად, გაცილებით წიგნიერი და განათლებული, ოღონდ კარგი მენეჯერი რომ იყოს, საქმე ასეთ უხეშ, გაუაზრებელ და უტაქტო ნაბიჯებთან არ გვექნებოდა. რაც უფრო მეტი სუფთა ადამიანი იქნება ჩართული სახალხო საქმის კეთებაში, კარგი იქნება. პირიქით არ უნდა მოხდეს, გესმით? – პოლიტიკა არ უნდა ერეოდეს კულტურაში, თორემ კულტურული, განათლებული, წიგნიერი ადამიანი თუ იქნება კონკრეტულ პოზიციაზე, სადაც თავის რესურსს მოახმარს ქვეყანას, ეს ძალიან კარგია. ამის მაგალითები არიან ნიკო ნიკოლაძე, აკაკი წერეთელი, ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა. ორივე მწერალთა კავშირის წევრები იყვნენ, მაგრამ როცა მწერალთა კავშირში შედის საბჭოთა კავშირი, ეს არის ცუდი.

– კი, ბატონო. ინტერვიუს ბოლოს, მკითხველსაც გავახსენებ იმ თქვენს აქცია-პერფორმანსს, როცა ერთ-ერთი აქციის დროს, პროტესტის ნიშნად, სპეცრაზმს რუსთაველზე დაუწექით. ჩემს მეხსიერებაში, სწორედ ამ ქმედებით დარჩებით...

– ჩემი ეს ქცევა მაშინ არაერთგვაროვნად აღიქვა საზოგადოებამ. ეს იყო ჩემი, როგორც მწერლის, უკიდურესი ჰუმანური ფორმა და ამით მინდოდა, ერთგვარი კულტურა დამემკვიდრებინა საქართველოში, რომ შესაძლებელია, მშვიდობიანი ფორმით პროტესტი და ნებისმიერ პროტესტს აქვს არსებობის უფლება, ოღონდ ეს პროტესტი არ უნდა ლახავდეს სხვების უფლებებს და პროტესტის გამომხატველი ადამიანი მოძალადე არ უნდა გამოვიდეს. პირიქით, უნდა იყოს მსხვერპლი. თუ შეგიძლია, იდეისთვის თავი გადადო, ჯანმრთელობა გაწირო, აი, მაშინ ხარ გამარჯვებული და ყველას მოვუწოდებ, პროტესტის მშიდობიან ფორმას ალტერნატივა არ აქვს!

რა გავლენას ახდენს კორონავირუსი ეპილეფსიით დაავადებულ ადამიანებზე – ნევროლოგის პრაქტიკული რჩევები

ია გრიგალაშვილი

ეპილეფსია ცენტრალური ნერვული სისტემის დაავადებაა, რომელიც მსოფლიოს მოსახლეობის 1 პროცენტს (დაახლოებით, 65 მილიონი) აქვს. ეპილეფსიით დაავადებულებში დარღვეულია თავის ტვინის ნერვული უჯრედების აქტივობა, რაც იწვევს გულყრას. გულყრის დროს, ადამიანს შეცვლილი აქვს ქცევა, განიცდის უჩვეულო სიმპტომებს და შეგრძნებებს – გონების დაკარგვის ჩათვლით. 50%-ში, ეპილეფსიის გამომწვევი მიზეზი ვერ დგინდება, ხოლო ეპილეფსიის მქონე პაციენტების 50%-ში, იგი ასოცირებულია სხვადასხვა ფაქტორებთან: გენეტიკური გავლენა, თავის ტრავმა, ინფექციური დაავადებები, პრენატალური დაზიანება და განვითარებითი დარღვევები. აშშ-ის მონაცემებით, 100 ადამიანიდან 1-ს, შესაძლოა, თავის ცხოვრების მანძილზე, ერთხელ დაემართოს არაპროვოცირებული (რაიმე ფაქტორით გამოწვეული) გულყრა. თუმცა **ერთჯერადი გულყრა არ ნიშნავს ეპილეფსიას. მხოლოდ ორი არაპროვოცირებული გულყრის (ტიპი არ კონკრეტდება) შემთხვევაში ხდება ეპილეფსიის დიაგნოსტირება.**

მსოფლიოში კორონავირუსის გავრცელების შემდეგ, მედიცინის მუშაკები აკვირდებიან, როგორ მიმდინარეობს COVID-19 ეპილეფსიით დაავადებულ ადამიანებში. რა რეკომენდაციებს გასცემენ ექიმები კორონავირუსთან დაკავშირებით ეპილეფსიით დაავადებული ადამიანებისთვის? – „ვერსია“ ნევროლოგ ალეკო წერეთელს ესაუბრა.

– ბატონო ალეკო, ჯანმრთელ ადამიანთან შედარებით, კორონავირუსით ინფიცირება ეპილეფსიით დავადებულისთვის უფრო საშიში ხომ არ არის?

– დღეისათვის არ გვაქვს ამის მტკიცებულება. რისკები მინიმალურია იმ ეპილეფსიის მქონე პირებში, რომლებსაც ადეკვატური მკურნალობის ფონზე აქვთ ეპილეფსიური გულყრების სრული კონტროლი. რისკი მეტია პაციენტების იმ ჯგუფში, რომლებსაც აქვთ მაღალი ტემპერატურული რეაქციით პროვოცირებული გულყრები (უპირატესად ბავშვები), რაც აიხსნება ინფექციების ფონზე განვითარებული ტემპერატურული რეაქციების მიზეზით. ასევე, შედარებით მაღალ რისკჯგუფს მიეკუთვნებიან ის პაციენტებიც, რომლებსაც ეპილეფსიასთან ერთად აღენიშნებათ ჯანმრთელობის სხვა პრობლემები: დაქვეითებული იმუნური სისტემის აქტივობა სხვადასხვა დაავადებისა და მდგომარეობის გამო, ხანდაზმულები, ასევე, ისეთი ქრონიკული დაავადებები, როგორებიცაა დიაბეტი, სიმსივნური დაავადებები და ფილტვების ქრონიკული პათოლოგიები.

– როგორ მიმდინარეობს კორონავირუსი ეპილეფსიით დაავადებულ ადამიანებში და რა უნდა გაითვალისწინონ დაავადების შემთვევაში?

– ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ეპილეფსიის მქონე ადამიანებში კორონავირუსი უფრო მძიმედ მიმდანარეობს, ვიდრე მოსახლეობის დარჩენილ ნაწილში, არ მოიპოვება. დამატებითი სამედიცინო მეთვალყურეობა სჭირდება ეპილეფსიის მქონე პირების იმ ნაწილს, რომლებსაც ეპილეფსიათან ერთად აქვთ მოძრაობის დარღვევები, ყლაპვის სიძნელეები, კუნთთა დამბლები, დასწავლის პრობლემები, გააჩნიათ სუნთქვის უკმარისობის განვითარების მაღალი რისკი. სხვა შემთხვევებში, კორონავირუსის გართულებების რისკი, სათანადო რეკომენდაციების დაცვის პირობებში, დაბალია.

ხაზგასმით უნდა აღინიშოს, რომ კორონავირუსით დაავადების შემთხვევაში, ხშირად საჭირო ხდება სპეციფიკური ანტივირუსული პრეპარატებით ან ანტიბიოტიკებით მკურნალობა, რომლებმაც, შესაძლოა, გავლენა მოახდინონ ანტიეპილეფსიური მედიკამენტების მოქმედებაზე და, შესაბამისად, გააუარესონ ეპილეფსიის მიმდინარეობაც. ამიტომ, კორონაინფექციის დროს, სპეციფიკური მკურნალობის დაწყებამდე, აუცილებელია, ექიმს მიაწოდოთ სრული ინფორმაცია თქვენი ეპილეფსიისა და სამკურნალო პრეპარატების შესახებ (წამალი, დოზა, მიღების ჯერადობა). აღნიშნული ინფორმაცია დაეხმარება ექიმს, განსაზღვროს კორონავირუსის მართვის ინდივიდუალური ტაქტიკა ანტიეპილეფსიურ პრეპარატებთან ურთიერთქმედებისა და ვირუსთან ეფექტური ბრძოლის გათვალისწინებით.

– არსებობს თუ არა კვლევები კორონავირუსისა და ეპილეფსიის ურთიერთქმედებაზე?

– კვლევა კორონავისუსისა და ეპილეფსიის ურთიერთქმედებაზე მუდმივად მიმდინარეობს, რაშიც აქტიურადაა ჩართული ეპილეფსიასთან ბრძოლის საერთაშორისო ლიგა, რომელიც აგროვებს ეპილეფსიის მქონე პირებში კოვიდინფექციის მიმდინარეობაზე ინფორმაციას და შესაბამის რეკომენდაციებს აქვეყნებს თავის საიტზე. ამ ინფორმაციით ვსარგებლობთ ეპილეფსიის მართვაში ჩართული სამედიცინო პერსონალიც.

– ინფიცირების შემთხვევაში, შესაძლებელია თუ არა გულყრების გააქტიურება?

– ამ კითხვაზე ერთმნიშვნელოვანი პასუხი არ არსებობს, კორონავირუსისთვის დამახასიათებელმა სიმპტომებმა, როგორებიცაა მაღალი ტემპერატურა (განსაკუთრებით ბავშვებში), ოფლიანობა, ღამით ხშირი შეღვიძებები და ზოგადი სისუსტე, შესაძლოა, მოახდინოს ეპილეფსიურ გულყრების პროვოცირება. თუ თქვენ ამ კატეგორიის დაავადებულთა შორის ხართ, განსაკუთრებით დაიცავით სოციალური დისტანცია და თვითიზოლაციის პრინციპები.

– შეიძლება თუ არა ეპილეფსიით დავადებულის აცრა და რომელ ვაქცინას ურჩევენ მათ ექიმები?

– ჩვენ ვხელმძღვანელობთ ეპილეფსიასთან მებრძოლი საერთაშორისო ლიგის რეკომენდაციებით, რომლის თანახმად, არ არსებობს მტკიცებულება იმისა, რომ ეპილეფსია COVID-19-ის ვაქცინაციისთვის წარმოადგენს რაიმე დამატებით რისკს. ეპილეფსიის მქონე ადამიანმა, ვაქცინაციამდე, ექიმს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია ეპილეფსიის შესახებ. ასევე, შემდეგი ინფორმაცია ჯანმრთელობასთან დაკავშირებით როგორიცაა: ალერგიული რეაქცია, განსაკუთრებით ვაქცინის შემადგენელ რომელიმე კომპონენტზე, ალეგიული რეაქცია სხვა ჩატარებულ ვაქცინებზე (მაგალითად, გრიპის ვაქცინა და სხვა), ცხელებით მიმდინარე დაავადებებით ავადობაზე ვაქცინაციის მომენტში ან ახლო წარსულში, იმ მედიკამენტებზე, რომლებსაც ვაქცინაციის მომენტში იღებს პაციენტი, განსაკუთრებით იმაზე, რაც ახდენს იმუნური სისტემის დაქვეითებას ან ანტიკოაგულანტებზე, ფეხმძიმობის შესახებ ან თუ გეგმავს ფეხმძიმობას უახლოეს მომავალში.

ვაქცინაციის შემდეგ, მაღალი ტემპერატურული რეაქციის დროს, აუცილებელია ტემპერატურის დროული დაწევა, ეპილეფსიის მქონე პირების იმ ჯგუფში, რომლებსაც აქვთ მაღალი ტემპერატურით პროვოცირებული გულყრები (ძირითადად, 5 წლამდე ასაკის ბავშვები, თუმცა ამ ასაკობრივ ჯგუფში ვაქცინაცია ჯერ არ დაწყებულა). არის მონაცემები, რომ „სინოფარმის“ ვაქცინა არ შეიძლება არაკონტროლირებული, წამლის მიმართ რეზისტენტული ეპილეფსიების დროს, თუმცა ეს ეპილეფსიის მქონე პაციენტების მცირე ნაწილია და შეტევების გახშირებაც იშვიათია. რაც შეეხება, რომელი ვაქცინაა უმჯობესი, პასუხი მარტივია – რომელიც ხელმისაწვდომია. თუ არჩევანი არსებობს, ამერიკის წამლისა და საკვების ასოციაციის და ევროპის წამლის სააგენტოს მიერ რეკომენდებული ვაქცინებს („ასტრაზენეკა“, „ფაიზერ ბიონტეკი“, „მოდერნა“, „იანსენი“, „ჯონსონი და ჯონსონი“) ვანიჭებთ უპირატესობას. ამასთან, საყურადღებოა, რომ ვაქცინაცია არ წარმოადგენს კორონავირუსის ინფიცირებისგან დაცვის გარანტიას. შესაბამისად, ვაქცინაციის შემდეგაც აუცილებელია დავიცვათ უსაფრთხოების ჰიგიენური ნორმები, სოციალური დისტანცია და ვატაროთ პირბადე.

სამართალი

№27 4 აგვისტო 2021 წ

მკვლელობა, რომელიც პროკურორმა შეუკვეთა

ბათო ჯაფარიძე

12 წლის ბიჭი გამოძიებას სწორ კვალზე გასვლაში დაეხმარა – სკანდალური საქმის დეტალები

თუ დააკვირდებით, ჩვენს ისტორიებში ძალიან იშვიათად ვასახელებთ ადამიანთა ნამდვილ სახელებსა და გვარებს და ეს იმიტომ, რომ დაზარალებულებს ძველი ჭრილობები არ გაეხსნათ, დამნაშავეთა შთამომავლებმა კი უხერხულობა არ იგრძნონ. ეს ის გამონაკლისია, როცა სახელს და გვარს შეუცვლელად, ყოველგვარი შელამაზების გარეშე ვწერთ. მიზეზი მარტივია – საქმე, რომელზეც გიამბობთ, სისასტიკითაა აღსავსე და რაც მთავარია, მისი მთავარი მოქმედი გმირი... თუმცა, სჯობს, ისტორიას მივყვეთ.

არცთუ იშვიათად, რუსეთიდან საქართველოში აგზავნიდნენ პროკურორებს, რომლებიც აქ 1-2 წელი რჩებოდნენ, შემდეგ კი ისევ სამშობლოში ბრუნდებოდნენ და არცთუ ურიგო თანამდებობებს იკავებდნენ. ეს ორი რამით იყო განპირობებული – პირველი ის, რომ ქართველ ჩინოვნიკებს არ უნდა აეწყოთ კორუფციული ჯაჭვი ანუ არ უნდა ყოფილიყვნენ გარიგებულნი ერთმანეთთან და ამიტომ, უცხო კაცი, მით უმეტეს რუსეთიდან, ყველასთვის საფრთხილო იყო. მეორე კი გამოცდილების გაცვლა-გამოცვლა, ცოდნის გაზიარება და, რაღა თქმა უნდა, რუსეთის მინიშნება იყო, მმართველი კრემლშია და ის წყვეტს, ვინ სად იმუშავებსო.

„სწორედ ასე დაგვინიშნეს ვინმე, ნიკოლაი შიროკოვი თბილისში, ერთ-ერთ რაიონულ პროკურორად. რაც მთავარია, ვიცოდით, რომ ორი წლის განმავლობაში, წამსვლელი არსად იყო. კარგი კაცი გახლდათ, განათლებული, მეგობრული, ოჯახთან ერთად ცხოვრობდა ჩვენს დედაქალაქში. ოჯახებით ვმეგობრობდით, თვითონ კი თქვა, კოლია დამიძახეთო, მაგრამ ყველა ნიკოს ვეძახდით. 1982 წელს წავიდა საქართველოდან და მალევე შემეხმიანა, სმოლენსკის ოლქის პროკურორად დამნიშნეს, თუ რამე დაგჭირდეს, აქ ვარო“, – გვიყვება მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

თითქოს რიგითი ამბავია, საქართველოში ჩამოვიდა კაცი, იმსახურა, დაბრუნდა სამშობლოში, კარგი თანამდებობა მისცეს, თანაც როგორი? – სმოლენსკის ოლქში, მილიონზე მეტი ადამიანი ცხოვრობდა და ოლქის მთავარი ქალაქი სმოლენსკიც არ იყო უკანა პოზიციებზე. როგორც ამბობენ, შიროკოვს ყველა ემადლიერებოდა, ის ოლქის ერთ-ერთი მთავარი ფიგურა იყო, ყველას და ყველაფერს ითვალისწინებდა და მის შავ „ვოლგას“ ოლქში ყველა სცნობდა. სწორედ ის იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც 1983 წელს, სმოლენსკში მომხდარი დანაშაულის ადგილზე მივიდა. აი, რა წერია საქმეში:

„ქარხნის ბუღალტრებმა ბანკიდან 39 ათასი მანეთი წამოიღეს. სანამ ისინი ქარხნის კუთვნილ მანქანაში, ე.წ. „ბუხანკა რაფში“ ავიდოდნენ, საიდანღაც ერთ-ერთი ბუღალტრის შვილი, 12 წლის ვალოდია გადმოხტა და სათამაშო პისტოლეტით დედა და მისი თანამშრომელი შეაშინა. დედა ბავშვს გაუბრაზდა, სათამაშო პისტოლეტი გამოართვა, ჩანთაში ჩადო და შვილს მიაწოდა, მძიმეა, შენ გეჭიროსო. ქალის საქციელი იმ ადამიანებს, ვინც ამ სცენას შეესწრო, არ გაჰკვირვებიათ – მას აშკარად ეტყობოდა, რომ ორსულად იყო და ორიოდე თვეში, კიდევ ერთი ბავშვის დედა გახდებოდა. ვალოდია დედამისთან, მის თანამშრომელ ქალსა და, რაღა თქმა უნდა, მძღოლთან ერთად, მანქანაში ავიდა. მანქანა ადგილიდან დაიძრა“, – ეს ინფორმაცია სამართალდამცავებს თვითმხილველებმა მიაწოდეს.

ამ ამბიდან ნახევარ საათში, გზის პირზე, ორივე ბუღალტერი ქალი გარდაცვლილი ნახეს. რაღა გარდაცვლილი, ორივეს თავში ჰქონდა მორტყმული ტყვია. ექსპერტიზამ მეორე დღეს დაასკვნა – ორივეს სანადირო თოფით ესროლეს საფანტის ტყვიები, მაგრამ რადგან გასროლა ახლო მანძილიდან, თანაც – თავში იყო, სიკვდილი მომენტალურად დადგა. არსად ჩანდა ბიჭი, ფულის ჩანთა, მანქანა და მძღოლი.

სამართალდაცმავებმა მანქანაზე ძებნა გამოაცხადეს, ოპერმუშაკთა ნაწილი მძღოლის სახლში წავიდა, მეორე ნაწილი – ბავშვის ბებიასთან, რომელიც ქალაქის გარეუბანში, საკუთარ სახლში ცხოვრობდა. სამწუხაროდ, სამართალდამცავებმა დააგვიანეს – მოხუცი ქალი საკუთარ ეზოში მოკლულ ეგდო, თავში მასაც საფანტის ტყვია ჰქონდა მხოვედრილი, 12 წლის ვალოდია კი არსად ჩანდა. მალე მიაგნეს მანქანასაც, რომელიც ერთ-ერთი ქარხნის დანგრეულ ნაწილში იყო მიტოვებული, მისგან ათი მეტრის მოშორებით კი მძღოლი ეგდო, რომელიც... თავში სანადირო თოფის გასროლით იყო მოკლული.

მთელი ოლქის სამართალდამცავები ფეხზე დადგნენ. ამდენი მკვლელობა, თანაც ერთ დღეს, ოლქს არ ახსოვდა. განსაკუთრებით პროკურორი აქტიურობდა და კატეგორიულად ითხოვდა, საქმე ცხელ კვალზე, მაქსიმუმ, ორ საათში გახსნილიყო. გამომძიებლებმა ბავშვის გარემოცვის შესწავლა დაიწყეს. იქნებ, 12 წლის მოზარდს ვინმემ უთხრა, რომ ფულის გატაცებაში დახმარებოდა? ვერაფრით უკავშირებდნენ ერთმანეთს ბიჭისა და ფულის ერთად გაუჩინარებას. თავდამსხმელებს ბავშვის მოკვლა რომ სდომოდათ, იქვე მოკლავდნენ, სადაც ქალები დახოცეს, ან საერთოდ, იმ ქარხნის ტერიტორიაზე, სადაც მძღოლი გამოასალმეს სიცოცხლეს. დაკითხეს გარდაცვლილი ბუღალტრის უახლოესი მეგობარი, მეზობელი ქალი, რომელმაც საინტერესო ინფორმაცია მიაწოდა გამოძიებას.

„ვისგან ელოდა ბავშვს ჩემი მეგობარი, არ ვიცი. ვიცი ის, რომ მას იაფფასიანი მედალიონი ეკეთა, რომელშიც საყვარელი მამაკაცის ფოტოს ინახავდა. ამბობდა, შვილს მისი სახელი უნდა დავარქვა, ბიჭიაო. შვიდი თვის ორსული იყო და კაცს იმიტომ არ აჩენდა, რომ ის ცოლ-შვილიანი იყო, თუმცა პირდებოდა, ცოლს დავშორდები და შენ მოგიყვანო“, – განაცხადა მან.

ქალმა ისიც თქვა, ვალოდიამაც კი არ იცოდა ამ კაცის არსებობის შესახებ, დედა ეუბნებოდა, თავის დროზე, ყველაფერს გაიგებო. დაათვალიერეს გარდაცვლილი და... ყელსაბამი, სადაც საყვარელი მამაკაცის ფოტო უნდა ყოფილიყო, არსად ჩანდა. თავდამსხმელებმა ყელსაბამი შეაწყვიტეს და ეს, იმის მიუხედავად, რომ ვერცხლისაც კი არ იყო ანუ ღირებულებას არ წარმოადგენდა.

„როცა სმოლენსკიდან დამირეკეს, გამიკვირდა. მითხრეს, რომ მე და კიდევ ჩემი ერთი მეგობარი, რომელიც ნიკოლაი შიროკოვთან მეგობრობდა, სასწრაფოდ უნდა ჩავსულიყავით სმოლენსკში, ოღონდ ისე, რომ კოლიასთვის არაფერი გვეთქვა. ზარი უშიშროების კომიტეტმა განახორციელა და, რაღა თქმა უნდა, ყველა მითითება პირნათლად შევასრულეთ“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

ადგილზე ჩასულებს, უშიშროების კომიტეტის თანამშრომლები დახვდნენ და ჰკითხეს, როგორი პიროვნება იყო შიროკოვი, როგორ იქცეოდა საქართველოში, ჰყავდა თუ არა საყვარლები? ქართველებმა სმოლენსკის ოლქის მოქმედი პროკურორი ზედმიწევნით დადებითად დაახასიათეს. ვერცერთმა გაიხსენა ისეთი რამ, რის გამოც შეიძლებოდა მასზე აუგი ეთქვათ. გამომძიებლები კი გაუჩინარებულ, 12 წლის ვალოდიას მთელი ოლქის მასშტაბით ეძებდნენ. მკვლელობიდან მესამე დღეს, მილიციის განყოფილებაში ზარი გაისმა. ვიღაც კაცი ამბობდა, ვალოდიას მე მოვიყვან განყოფილებაში, ოღონდ მოთხოვნა მაქვს – ადგილზე უშიშროების კომიტეტის შეფი და ვალოდიას დედის მეგობარი ქალი უნდა დამხვდნენო. რა თქმა უნდა, პირობა შეუსრულეს და კაცმა ვალოდია, სწორედ უშიშროებას ჩააბარა. ბავშვის გადაცემიდან ათ წუთში, ოლქის პროკურორის, ნიკოლაი შიროკოვის დაპატიმრების ორდერი გაიცა.

„მთელი ოპერაცია ჩემს მიერ იყო დაგეგმილი. არასასურველი ქალისა და შედეგად, ბავშვის მოცილება იყო მთავარი მიზეზი და მიზანი. დავუკავშირდი ჩემს ძმას, რომელმაც ორჯერ მოიხადა სასჯელი, თუმცა იმდენი მოვახერხე, ნასამართლეობა გავუქარწყლე და მეც სამსახურში პრობლემები არ შემქმნია. თავის მეგობართან ერთად, მათ უნდა დაეყაჩაღებინათ ბუღალტრები, მოეკლათ და ფული წაეღოთ. ყველაფერი რიგით ყაჩაღობას დაბრალდებოდა. მაქსიმუმი უნდა გამეკეთებინა, საქმე რომ არ გამოძიებულიყო, თუმცა მანქანაში ბავშვი აღმოჩნდა და ინსტიქტურად, ფული მან გაიტაცა. კულონიც მე შევახსენევინე, რადგან გამომძიებლებს ჩემი ფოტო არ ენახათ. რაც მთავარია, ბავშვს დედამ უთხრა, როცა რამე გაგიჭირდება და მე ახლოს არ ვიქნები, კოლია ბიძიას დაურეკეო და ჩემი ნომერი მისცა. ბავშვმაც დამირეკა, სკვერში ვარ და მოდიო. ჩემს ძმასა და მის მეგობარს ვუთხარი, ისინი კი ბავშვმა შორიდანვე შეამჩნია და გაიქცა. ასე მიხვდა, რომ მე სხვა მხარეს ვიდექი“, – ეს არის ამონარიდი ნიკოლაი შიროკოვის ჩვენებიდან.

როგორც მერე გაირკვა, მძღოლს ათქმევინეს, სად ცხოვრობდა ბავშვი, იქ წავიდნენ, მოკლეს ბებია და მაინც ვერ იპოვეს შვილიშვილი. ვალოდიამ, ძია კოლიასთან მომხდარის შემდეგ, ქუჩაში სრულიად უცნობი მამაკაცი გააჩერა, ყველაფერი უამბო და დახმარება სთხოვა. მილიციაშიც, სწორედ ამ უცნობმა დარეკა.

რაც შეეხება ოლქის პროკურორზე ეჭვის მიტანას. გამომძიებლებმა შემთხვევით ნახეს ქალი, რომელმაც თქვა, რომ გარდაცვლილი ორჯერ ნახა ოლქის პროკურორის მანქანაში. მის დაკავებასა და თვალთვალზე სანქცია პირადად იური ანდროპოვისგან მოიპოვეს. ის უკვე ცეკას გენერალური მდივანი იყო, მაგრამ უშიშროების კომიტეტს კვლავ პირადად აკონტროლებდა.

სმოლენსკის ოლქის პროკურორს, ნიკოლაი შიროკოვს, მის ძმა ვასილს და მის „პადელნიკს“ სასამართლომ სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა მიუსაჯა. ვალოდია ამის შემდეგ ინტერნატში მოხვდა, თუმცა იქაც სანიმუშო ბავშვი იყო და სრულწლოვნად გახდომის შემდეგ, მეხანძრის პროფესია აირჩია. 1991 წელს, სმოლენსკში, ცაცხლმოკიდებული სახლიდან ორი ბავშვის გამოყვანის შემდეგ, ვალოდია მათი დედის გამოსაყვანად შებრუნდა, თუმცა ჩამოვარდნილმა სახურავმა ისიც და ქალიც ცეცხლში ჩაფერფლა.

ხეიბარი ბავშვი, რომელიც სასტიკი მანიაკი გახდა

47 წლის კაცი ქალებს ჯერ კლავდა, შემდეგ კი „ტროსტით“ სცემდა – საზარელი საბჭოთა ამბავი

ბათო ჯაფარიძე

ანდრეი ჩიკატილოს სახელი და გვარი ყველასთვის კარგადაა ცნობილი. ის საბჭოთა კავშირში ყველაზე ცნობილი მანიაკი, რუსი „ჯეკ მფატრავი“ იყო, ადამიანი, რომლის სახელსაც 53 მკვლელობა უკავშირდება. ჩიკატილო 1978-დან 1990 წლამდე, საბჭოთა კავშირის მასშტაბით დადიოდა და ადამიანებს ხოცავდა. 53 მოკლულიდან 21 ბიჭი იყო, რომელთა ასაკი 7-დან 16 წლამდე მერყეობდა, 14 კი – 9-დან 17 წლამდე გოგონა. იმის მიუხედავად, რომ ჩიკატილო ყველაზე სისხლისმსმელ მანიაკადაა გამოყვანილი, რეალურად, არსებობდა მასზე უფრო სასტიკი მკვლელი, რომელმაც ორ წელიწადში, 58 ქალი მოკლა. ჰო, მისი ყველა მსხვერპლი ქალი იყო და ეს ისტორია საბჭოთა კავშირის დროს არ გახმაურებულა. ვინ იყო მკვლელი, რატომ მიჩქმალეს მისი საქმე და რატომ ვერ დააკავეს მაშინ, როცა დამალვას დიდად არც ცდილობდა? ყველაფერ ამაზე, ქვემოთ გიამბობთ.

ტამბოვის ოლქში, ერთ-ერთ საბავშვო ბაღში, ძიძა მოკლეს. მკვლელობა მაშინ მოხდა, როცა ბავშვებს ეძინათ, ვიღაც შეიპარა და ძიძა გაგუდა. სამართალდამცავებმა მომხდარიდან მალევე, სამი მეათეკლასელი დააკავეს, რომლებმაც დანაშაული აღიარეს. ოლქის მაცხოვრებლები არათუ დაკავებულების დახვრეტას ითხოვდნენ, არამედ, მათი მშობლების დასჯაც სურდათ. არეულობამ ისეთი მასშტაბები მიიღო, რომ სიტუაციაში გასარკვევად, მოსკოვიდან გენერალური

პროკურატურის თანამშრომელი გაიგზავნა. მან ბავშვები ნახა და ყველაფერს მიხვდა – უსასტიკესად ნაცემი ახალგაზრდები შეშინებულები იყვნენ. მოსკოვიდან ჩასულმა პროკურორმა ისინი ცალკე, ადგილობრივების გარეშე დაკითხა და მიხვდა, რომ მკვლელობასთან მეათეკლასელებს შეხება არ ჰქონდათ და მათი გაშვება ბრძანა. ბავშვები გაუშვეს, თუმცა სამიდან ორმა თვითმკვლელობა სცადა. სამწუხაროდ, ერთ-ერთმა მჟავა დალია და მართალია, ექიმებმა გადაარჩინეს, მაგრამ დღემდე ვერ საუბრობს და საკვებს ყელში ჩადგმული სპეციალური მილით იღებს.

მომხდარიდან მალევე, მკვლელობა ტიუმენში მოხდა, შემდეგ – ტულაში, კიროვში, ჩელიაბინსკში... ხელწერა ყველგან ერთი იყო – ქალებს გუდავდნენ და რაც მთავარია, გუდავდნენ რაღაც მყარი საგნით. ექსპერტებმა ივარაუდეს, რომ მკვლელი „ტროსტით“ მოქმედებდა ანუ ქალებს უკნიდან უახლოვდებოდა, ჯოხს ორივე ხელით ყელზე აბჯენდა და ახრჩობდა. მკვლელობის შემდეგ, თავდამსხმელი ქალებს აშიშვლებდა და სავარაუდოდ, იმავე ჯოხით სცემდა. გარდაცვლილებს ძვალი და რბილი ჰქონდათ გაერთიანებული, თუმცა არცერთი მათგანი გაუპატიურებული არ ყოფილა.

არსებობდა ერთი, არცთუ უმნიშვნელო დეტალი: ყველა გარდაცვლილი ქალი მარტოხელა იყო, ისეთი, თავის დროზე რომ ვერ მოახერხა ოჯახის შექმნა, კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდა და სტუმრებს იშვიათად იღებდა. ყველაზე საინტერესო ის გახლდათ, რომ მკვლელობების ერთნაირი ხასიათის მიუხედავად, ისინი არ გააერთიანეს. მეტიც, ამ მკვლელობებზე ვიღაცებს აკავებდნენ, ასამართლებდნენ, უსჯიდნენ, თუმცა ყველაფერი ეს, მოგვიანებით გახდება ცნობილი, მანამდე კი...

ტულაში ქალი გარდაცვლილი მას შემდეგ იპოვეს, რაც მეზობლები სუნმა შეაწუხა. კარის მეზობელმა ქალმა ჩვენებაში თქვა, რომ რამდენიმე დღის წინ, ღამით უცნაური ხმა ესმოდა, თითქოს, ოთახში ცხენი დადიოდა. რა თქმა უნდა, ამას სერიოზული ყურადღება არ მიაქციეს და იმის მიუხედავად, რომ ქალი აშკარად გაგუდული იყო, დასკვნაში დაწერეს, წაიქცა, თავი დაარტყა და გარდაიცვალაო. საქმე, რომელიც დიდი ალბათობით გაუხსნელი დარჩებოდა, გახსნილად გამოაცხადეს.

და ყველაფერი ეს, ორი წლის განმავლობაში გრძელდებოდა. როგორ გგონიათ, ვინ გადაწყვიტა საქმის გახსნა და ამ მკვლელობების ერთ საქმედ აკინძვა? არც არავინ, არავინ შეიწუხა თავი და ყველაფერი ძალიან დიდ ხანს გაგრძელდებოდა, რომ არა ერთი უცნაური შემთხვევა.

ტამბოვში, მატარებლის ლიანდაგს ორი მუშა ამოწმებდა. მათ დაინახეს, როგორ მიუყვებოდნენ ლიანდაგის ნაპირს ქალი და კაცი ჯოხით. მამაკაცი აშკარად კოჭლობდა და ჯოხს ეყრდნობოდა. უკან დაბრუნებისას კი დაინახეს, რომ ქალი იქვე ეგდო, სიცოცხლის ნიშანი არ ეტყობოდა, კაცი კი მოშორებით იდგა და მუშებს უყურებდა. ხმა ჯოხიანმა მამაკაცმა ამოიღო – „ეს ქალი მე მოვკალი, მე გავგუდე და... დავიღალე, მეგობრებო, დავიღალე“.

მუშებმა მამაკაცი ადვილად შებოჭეს და მილიციის ადგილობრივ განყოფილებაში მიიყვანეს. სამართალდამცავები თავიდან აგდებულად მოეკიდნენ დაკავებულს, თუმცა მან მოყოლა დაიწყო და აღარ გაჩუმდა.

47 წლის სერგეი კაშინცევის ჩვენებიდან: „ბავშვობიდან ფეხის პრობლემით ვიზრდებოდი და მუდმივად ჯოხის ტარება მჭირდებოდა. ამის გამო, თანაკლასელი გოგონები დამცინოდნენ. როცა მათ დაცინვას აგრესიით ვპასუხობდი, მე მიცხავდნენ, რადგან გოგონასთვის, თურმე, ყვირილი და პასუხის გაცემა არ შეიძლება. მერვე კლასიდან იმიტომ გავედი, რომ ამის ატანა აღარ შემეძლო, თუმცა მაშინვე გადავწყვიტე, რომ ქალებზე შურს ვიძიებდი. ორი წელია, ქალებს ვხოცავ, ქალაქიდან ქალაქში დავდივარ და ვკლავ, შემდეგ კი ვაშიშვლებ და ვცემ, რადგან ჯავრი მინდა ვიყარო ყველა იმ დამცირებასა და ტკივილზე, რაც მათ მომაყენეს. მეგონა, დამიჭერდნენ, რადგან დიდად არც ვიმალებოდი და არც კვალის წაშლას ვცდილობდი. თავიდან მინდოდა, რომ ხუთი ქალი მომეკლა და მერე თუნდაც დავეჭირე, მაგრამ ვერ დამიჭირეს, ამიტომ გაგრძელდა და გაგრძელდა. უბრალოდ, დავიღალე, მოკვლის სურვილი აღარ მაქვს, მე შური საკმარისად ვიძიე და მზად ვარ, სასჯელი მივიღო“...

სამართალდამცავთა საუბედუროდ, მას 58-ვე ქალის არა მარტო მკვლელობის დრო, არამედ, ადგილიც ახსოვდა. ტამბოვის ოლქში, ღამის მთელი რუსეთიდან დაიწყეს ჩასვლა გამომძიებლებმა და დახურული საქმეების ხელახლა გამოძიება. ციხეებიდან გამოუშვეს 37 ადამიანი, რომლებიც ამ მკვლელობებზე იყვნენ გასამართლებულები. საქმე პარტიის გენერალურ მდივნამდე მივიდა. მან ბრძანა, სასამართლო სხდომები დახურულიყო და რაც მთავარია, ეს ამბავი უცხოელებს არ უნდა გაეგოთ, რადგან ეს საბჭოთა მილიციის სირცხვილი გახლდათ. სამსახურიდან გაუშვეს ის გამომძიებლები, რომლებიც საქმეს გულგრილად მოეკიდნენ.

სასამართლო სხდომა მხოლოდ 8 თვის შემდეგ გაიმართა და ეს იმიტომ, რომ კაშინცევი ყველა საქმეზე აძლევდა ჩვენებას. როცა მოსამართლემ სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა გამოაცხადა, კაშინცევმა გაიღიმა და ჩუმად ჩაილაპარაკა – „კიდევ კარგი, ამაში მაინც გამიმართლა“.

ასე დაედო ამ საქმეს გრიფით საიდუმლო და დღის სინათლე მხოლოდ ახლა იხილა. იმის გამო, რომ ბავშვობაში ხეიბარ ბიჭზე არავინ ფიქრობდა, მივიღეთ პირსისხლიანი მკვლელი, რომელმაც 58 ქალს მოუსწრაფა სიცოცხლე და რომ არა მისივე სურვილი, სავარაუდოდ, დიდი ხნის განმავლობაში, ვერც დაიჭერდნენ. სამაგიეროდ, მთელმა საბჭოთა კავშირმა გაიგო ანდრეი ჩიკატილოს შესახებ და მასზე ფილმები და სერიალიც კი გადაიღეს. კაშინცევი კი თითქოს არც არსებობდა, ისე გაქრა საბჭოთა კრიმინალისტიკის არქივებში.

ვინ არის ბინის ცნობილი ქურდი, რომელიც რუსთაველზე მოწყალებას ითხოვს

როგორ ჩაითრია ნაცხარმა კაცმა ბავშვობის მეგობარი გოგონა კრიმინალში

ბათო ჯაფარიძე

კრიმინალთა არცთუ მცირე ნაწილს, დანაშაული ხელოვნების დონეზე აქვს აყვანილი და უმცირეს დეტალებსაც კი აქცევს ყურადღებას ანუ გამოძიებას შეგნებულად უტოვებს ისეთ ნივთმტკიცებას, რომელიც მათ სხვა მიმართულებით წაიყვანს... როგორც ადრე, ახლაც სამართალდამცავისა და კრიმინალის ურთიერთობა ნერვების ომი, გამჭრიახობისა და ინტუიციის შეჯიბრია. საბედნიეროდ, უმრავლეს შემთხვევებში, კრიმინალებს სამართალდამცავები აბსოლუტურად სჯაბნიან. კარგი იქნება, თუ ეს ციფრი მუდმივად გაიზრდება და უპირატესობა მუდმივად პოლიციელის მხარეს იქნება.

„ის კრიმინალები, რომლებიც დანაშაულზე მოუმზადებლად მიდიან ან სპონტანურად ჩადიან, სიცოცხლის უმეტეს ნაწილს გისოსებს მიღმა ატარებენ. აი, ამ საქმის ნამდვილი პროფესიონალების დაჭრა კი ძალიან რთულია. რაც მთავარია, ასეთ შემთხვევაში, სამართალდამცავიცა და კრიმინალიც ერთმანეთის შრომას პატივს სცემს, იციან იმ შრომისა და უძილო ღამეების ფასი. შემთხვევას, რომელსაც ახლა მოგიყვები, ჩემს კარიერაში გამორჩეული ადგილი უჭირავს, ადრეც მითქვამს და კიდევ ათასჯერ გავიმეორებ – ყველაფერთან ერთად, გამომძიებელსაც და კრიმინალსაც სჭირდება იღბალი. იღბლის გარეშე, არაფერი გამოვა“, – იხსენებს მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

80-იანი წლების დასაწყისში, დედაქალაქში რამდენიმე ისეთი ქურდობა მოხდა, სამართალდამცავებიც კი აღფრთოვანდნენ. ბინის ქურდი უხმაუროდ აღებდა საკეტებს (არ ტეხდა, აღებდა), ძალიან კულტურულად ასუფთავებდა ბინებს და ისე ქრებოდა, მისი არც დამნახავი იყო ვინმე და ზოგადად, მეზობლები ამტკიცებდნენ, უცხო არავინ გვინახავსო. რაც მთავარია, ქურდმა ძალიან კარგად იცოდა, ვის ბინებს ასუფთავებდა და ურთულეს საკეტებს, პრაქტიკულად, დაუზიანებლად აღებდა. რაც მთავარია, ძირითადად, ფულსა და ოქროზე ნადირობდა, ანტიკვარიატს ხელს არ ჰკიდებდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ძალიან ფრთხილობდა. ოქროს დაამტვრევდა და ჯართად ჩააბარებდა, ფული კი ყველგან ფულია. პრაქტიკულად, აზრი არ ჰქონდა არაფერს, ვიღაც მოდიოდა კორპუსში, რა თქმა უნდა, ათვალიერებდა ობიექტს, ოჯახის წევრების მოძრაობის გრაფიკს ადგენდა და მას ვერავინ ამჩნევდა.

„გაერთიანებულ თათბირზე დაგვიძახეს და ყველას მოგვთხოვეს, რომ კოლეგებს დავხმარებოდით. ვიღაც (ან ვიღაცები) მილიციას მასხრად იგდებდა და აბითურებდა. რა თქმა უნდა, ყველამ ავიღეთ ჩვენი წილი პასუხისმგებლობა და შევთანხმდით, ვის რა უნდა ეკეთებინა. გამოცდილება არ გვაკლდა განყოფილებების უფროსებს, თათბირის შემდეგ რესტორანში წავედით, ოღონდ სასაუბროდ და არა – საქეიფოდ. იქ დავყარეთ ყველაფერი, რაც ვიცოდით და არ ვიცოდით. საბოლოოდ, ძალიან საინტერესო დეტალზე შევთანხმდით“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

ის, რაზეც გამოცდილი სამართალდამცავები შეთანხმდნენ, მართლაც, საგულისხმო დეტალი იყო. მათი აზრით, ბინის ქურდი ცდილობდა მასისგან გამორჩეული არ ყოფილიყო. ბოლოს და ბოლოს, შეეძლო, პარიკი გაეკეთებინა და კორპუსის წინ, სადაც ბინა უნდა გაექურდა, მზესუმზირა გაეყიდა, ან უბრალოდ, სკვერში ჩამომჯდარიყო გოგონასთან ერთად. ასეთებს ყურადღებას ნაკლებად აქცევენ და რაღა თქმა უნდა, დაკითხულ მოქალაქეებსაც არავინ დააკონკრეტებინა, ისეთი ადამიანი ხომ არ დაგინახავთ, მანამდე რომ არ გამოჩენილა და ბინის გაქურდვის შემდეგ რომ გაქრაო?

კორპუსის მაცხოვრებლების ხელახალმა დაკითხვამ შედეგი გამოიღო – ორ შემთხვევაში გაიხსენეს, რომ რამდენიმე დღე მათ კორპუსთან... ბრმა ახალგაზრდა კაცი დადიოდა. მას მუქი სათვალე ეკეთა და ხელში უსინათლოებისთვის დამახასიათებელი სპეციალური ჯოხი ეჭირა. უსინათლოს ახალგაზრდა გოგონა ახლდა, რომელიც გადაადგილებაში ეხმარებოდა. აბა, უსინათლოს ყურადღებას ვინ მიაქცევდა, ვინ იფიქრებდა, რომ შესაძლოა, ის ბოროტმოქმედი ყოფილიყო?

მორიგი ბინის გაქურდვის შემდეგ, გამომძიებლებმა პირდაპირ იკითხეს, ბრმა ხომ არ შეამჩნიეთ ახალგაზრდა ქალთან ერთადო და მოსახლეობისგან დასტურიც მიიღეს. პარალელურად, სამართალდამცავები კარტოთეკაში იქექებოდნენ და იმას იგებდნენ, ვინ გათავისუფლდა სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან უახლოეს წარსულში. მათ შორის, ერთი ცნობილი ბინის ქურდი აღმოჩნდა და...

„იმ ბინის ქურდს ბავშვობიდან ვიცნობდი, პრაქტიკულად, ჩემს ხელში ჩამოყალიბდა პროფესიონალად. ვიცოდით, რომ ბინებს ტეხდა, მაგრამ ვერასდროს ჩავავლეთ. ერთხელაც, „პადელნიკმა“ ჩაუშვა და 7 წელი ისე მისცა მოსამართლემ, არც დაფიქრებულა. ამიტომ, მე მომაკითხეს, ეგებ, დაელაპარაკო, მიხვდები კიდეც, ის გვაწიოკებს თუ არაო. რა თქმა უნდა, დავთანხმდი და სახლში დაუპატიჟებლად მივადექი. კარი დედამისმა გამიღო, ოთახში შემიძღვა და... ჩემს წინ, ბრმა ახალგაზრდა იჯდა“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

ბინის ქურდი ნაღვლიანად ყვებოდა, როგორ დაემართა ტუბერკულოზი „ზონაზე“, როგორ გაურთულდა და როგორ დაუტოვა ამ დაავადებამ სიბრმავე. რა თქმა უნდა, გამომძიებელმა არ დაუჯერა და ყოფილი პატიმარი თვალის ცნობილ ექიმთან წაიყვანეს შემოწმებაზე. ექიმმა, დაახლოებით, ორი საათის განმავლობაში უტრიალა, ყველანაირად შეამოწმა და დასკვნაც დადო – ასი პროცენტით უსინათლოა. გაჩნდა ეჭვი, რომ ვიღაცამ იცოდა გამოცდილი „მედვეჟატნიკის“ უსინათლობის შესახებ და ამას იყენებდა, რათა გამოძიება მცდარ კვალზე დაეყენებინა. სამართალდამცავები სხვებზე გადაერთვნენ და სულ ტყუილად – ახალი ვერაფერი გაიგეს, კარტოთეკის ქექვამაც არაფერი მისცა. საქმეში მისი უდიდებულესობა, ფორტუნა ჩაერთო. ფორტუნა, რომელმაც დამნაშავეს უღალატა.

„ამ ამბიდან თითქმის თვე იყო გასული და მეგობარმა მთხოვა, ორი დღით ქალაქიდან გავდივარ, ეგებ, ღამით ჩემთან დარჩე, ბინა არ გამიქურდონ, მეშინიაო. ცოლ-შვილი სოფელში მყავდა გაშვებული და სულ ერთი იყო, სად დავრჩებოდი, თანაც ზუსტად ვიცოდი, ჩემს ბინას არავინ შეეხებოდა. შაბათ-კვირა ემთხვეოდა, სამსახურშიც ისეთი მნიშვნელოვანი საქმე არ მქონდა და წამოვუწექი ტელევიზორს მეგობრის ბინაში. სიგარეტს რომ მოვუკიდე, გამახსენდა, მეგობარი არ ეწეოდა და სახლს აქოთებულს ხომ არ დავახვედრებ-მეთქი. გავედი აივანზე და მაშინვე უკან შემოვბრუნდი – ეზოში ახალგაზრდა გოგო უსინათლო ბიჭს მოჰყვებოდა გვერდით. ფანჯრიდან ფრთხილად გადავიხედე, აშკარა იყო, კორპუსს ათვალიერებდნენ და იქიდანვე ვიცანი ბინის ის ქურდი, მე რომ ვესაუბრე. ტელეფონს ვეცი, განყოფილებაში დავრეკე, ორი ოპერმუშაკი მოვიდა და მთავარი ის იყო, გოგოს ვინაობა დაგვედგინა, ბიჭი ვიცოდი, ვინც იყო. იმავე ღამეს ჩასაფრება მოვაწყვეთ ჩემი მეგობრის ბინაში, დარწმუნებული ვიყავი, სამიზნე ის იყო, ერთი თანამშრომელი შიგნით დავიტოვე, ორი – გარეთ დავაყენე სადარბაზოს წინ, მანქანაში“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

იმ საღამოს ბინაში არავინ მისულა, არც – მეორე საღამოს და მერე, მეგობარიც დაბრუნდა, თუმცა მანამდე, გვერდითა სადარბაზოდან მილიციაში განცხადება შევიდა, მოქალაქე ჩიოდა, გამქურდესო. ისე გამოვიდა, რომ სამართალდამცავთა გათვლა არ გამართლდა, მთელი ყურადღება ერთ კონკრეტულ სადარბაზოსა და ბინაზე იყო გადატანილი, ქურდები კი სხვა სადარბაზოსა და სხვა ბინაში შევიდნენ. ამის მიუხედავად, მილიციის თანამშრომლებმა უსინათლო ქურდსა და გოგონას ბინებში ჩხრეკა ერთდროულად ჩაატარეს და ნაქურდალი გოგოსთან იპოვეს.

„ეს გოგო ჩემი ბავშვობის მეგობარია. მას შემდეგ, რაც „პადელნიკმა“ ჩამიშვა, აღარავის ვენდობოდი. მხოლოდ ამ გოგოს ვენდე, საკეტების ზუსტ აღწერილობას მაძლევდა, ვხვდებოდი, რომელი ფირმის იყო და ვაღებდი. რად უნდა საკეტის გახსნას თვალები, ის უნდა იგრძნო. როცა ვხედავდი, მაშინაც კი საკეტის გაღებისას, ორივე თვალი დახუჭული მქონდა, უბრალოდ, ვუსმენდი“, – განაცხადა დაკავებულმა.

გოგოს 3 წელი აკმარეს, გამოცდილი ქურდი კი ციხეში ისევ 7 წლით გაისტუმრეს. გათავისუფლების შემდეგ, აღარც თბილისი იყო ისეთი, როგორიც დატოვა და აღარც საკეტები – ძველებური. როგორც ბატონმა თენგიზმა თქვა, ბოლოს, ბინის ქურდი რუსთაველზე ნახა, წინ ქუდი ედო და ხურდა-ფულს მათხოვრობდა.

შინაგან საქმეთა მინისტრმა რეგიონების პოლიციის დეპარტამენტების ხელმძღვანელებთან სამუშაო თათბირი ჩაატარა

შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა პოლიციის დეპარტამენტების ხელმძღვანელებთან სამუშაო თათბირი გამართა.

რეგიონების პოლიციის დეპარტამენტების დირექტორებთან შეხვედრას მინისტრის პირველი მოადგილე, შალვა ბედოიძე დაესწრო.

მინისტრმა, დანაყოფების ხელმძღვანელებისგან, მათ სამოქმედო ტერიტორიაზე დანაშაულთან ბრძოლის, ასევე, საპოლიციო პრევენციული ღონისძიებების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოისმინა. შეხვედრაზე ვახტანგ გომელაურმა უწყებაში მიმდინარე რეფორმების ფარგლებში მიმდინარე და დაგეგმილ პროექტებზე ისაუბრა.

შინაგან საქმეთა მინისტრმა სამინისტროს საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებებზე გაამახვილა ყურადღება და თანამშრომლებს შესაბამისი დავალებები, ასევე, მითითებები მისცა.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი რუმინეთის ელჩს შეხვდა

შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გამართა რუმინეთის ელჩთან, რაზვან როტუნდუსთან, რომელიც საქართველოში, 2021 წლის მარტიდან მოღვაწეობს.

შეხვედრაზე შინაგან საქმეთა მინისტრმა ხაზი გაუსვა ნატო-საქართველოს თანამშრომლობის ფარგლებში, საზღვაო უსაფრთხოების სფეროში, საქართველოსა და რუმინეთს შორის არსებულ თანამშრომლობასა და სანაპირო დაცვის განვითარების მიმართულებით, რუმინული მხარის წვლილს.

ვახტანგ გომელაურმა ელჩს სამომავლო საქმიანობაში წარმატება უსურვა.

შეხვედრის დასასრულს, მხარეებმა სამომავლო ურთიერთობის პრიორიტეტულ მიმართულებებზე ისაუბრეს.

შს მინისტრმა სამინისტროს განვითარების ათწლიანი გეგმა წარადგინა

შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა სამინისტროს განვითარების ათწლიანი სამოქმედო გეგმა წარადგინა. სამოქმედო გეგმის პრეზენტაციას პრემიერ-მინისტრი, მთავრობისა და პარლამენტის წევრები, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები და სხვა მოწვეული სტუმრები დაესწრნენ. ღონისძიება პრემიერ-მინისტრის მისასალმებელი სიტყვით გაიხსნა.

„მინდა, ჩემი გამოსვლა დავიწყო მადლობით, გამოვხატო მადლიერება პირადად ჩემი და მთელი გუნდის, მთელი მთავრობის სახელით, თითოეული პოლიციელის მიმართ, იმ გმირული სამსახურისთვის, რომელსაც თქვენ ეწევით ყოველდღიურად. ეს არის მისია, რომელსაც თქვენ ატარებთ. ამავდროულად, ეს ძალიან საამაყოა, ვინაიდან ემსახურებით რა, ჩვენს ქვეყანას, ჩვენს მოსახლეობას, ჩვენი მოქალაქეების უსაფრთხოებას, ეს ძალიან საპასუხისმგებლოა. აქვე, მინდა აღვნიშნო, რომ ხშირ შემთხვევაში, ჩვენ ყველას გვავიწყდება, თუ რაოდენ მაღალი რისკის შემცველია პოლიციელობა. თქვენ, რეალურად, ყოველდღიურად, 24-საათიან რეჟიმში გიწევთ მუდმივი სტრესის პირობებში მუშაობა, ოჯახებიდან მოწყვეტილი, კრიმინალთან ბრძოლის რეჟიმში, ეს ძალიან დიდ მსხვერპლს მოითხოვს. მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და ქედი მოვიხარო ჩვენი გარდაცვლილი, გმირი პოლიციელების ხსოვნის წინაშე, მათი ოჯახების წინაშე, კიდევ ერთხელ, მადლობა ვუთხრა მათ ასეთი გმირების აღზრდისთვის. სახელმწიფო ვალდებულია, ყველაფერი გააკეთოს იმისთვის, რომ სათანადოდ იყოს დაფასებული თითოეული პოლიციელისა და მათი ოჯახის სოციალური გარანტიები. ჩვენ მაქსიმალურ ყურადღებას დავუთმობთ პოლიციელების სოციალურ გარანტიებს, მათზე და მათ ოჯახებზე ზრუნვას. ჩვენი მთავრობის ხედვას, ამ შემთხვევაში, შინაგან საქმეთა სამინისტროს ათწლიანი განვითარების გეგმას, ბატონი მინისტრი წარმოგიდგენთ. ბატონ მინისტრს აქვს მკაფიოდ ჩამოყალიბებული ხედვა, გეგმა, თუ როგორ განავითაროს მისდამი დაქვემდებარებული უწყება. ძალიან ბევრი პროექტია დაგეგმილი, რომლებიც შეეხება ინფრასტრუქტურის განვითარებას, აღჭურვილობის, შეიარაღების განახლებას, პოლიციელებისთვის შესაბამისი სოციალური გარანტიების შექმნას. ამ მიზნით, მთავრობა ყველაფერს გააკეთებს ამ პროექტების მხარდასაჭერად, ბიუჯეტიდან გამოიყოფა დამატებითი სახსრები იმისთვის, რომ ყველა ეს პროექტი, პროგრამა იყოს დაფინანსებული.

კიდევ ერთხელ, მადლობას გიხდით, როგორც რიგითი მოქალაქე, როგორც, ამ შემთხვევაში, მთავრობის მეთაური და ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი. ჩემთვის ძალიან დიდი პატივია თქვენ წინაშე გამოსვლა და მე მინდა, კიდევ ერთხელ, მადლობა გადაგიხადოთ თქვენი გმირობისთვის“, – განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა შინაგან საქმეთა სამინისტროს ათწლიანი განვითარების გეგმის პრეზენტაციაზე სიტყვით გამოსვლისას.

შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა პრეზენტაციის წარდგენაზე ვრცლად ისაუბრა სამინისტროს საქმიანობის განვითარებისა და უწყების შესაძლებლობების გაზრდის მიზნით, მომდევნო 10 წლის განმავლობაში დაგეგმილ პროექტებზე, ასევე, მიმდინარე რეფორმებზე, რომლებიც აქტიურ რეჟიმში გრძელდება.

„რეფორმები, რომლებსაც თავის დროზე ჩვენ შევეჭიდეთ, უდიდეს პასუხისმგებლობას გვაკისრებს თითოეულ ჩვენგანს, როგორც რიგით პოლიციელს, ასევე, ყველა ხელმძღვანელ პირს. აღსანიშნავია, რომ ჩვენ შევძელით მნიშვნელოვანი რეფორმების გატარება. დღესაც უწყვეტია პოლიციის განვითარებისა და რეფორმების განხორციელების პროცესი. სტრუქტურული განვითარების ათწლიანი სტრატეგიული ხედვა, თანამედროვე ტენდენციებსა და საჭიროებებზე დაყრდნობით, გულისხმობს რეფორმირებული სისტემის კიდევ უფრო განვითარებას, რომლის მთავარი საყრდენი ღირსეული, თანამედროვე, მომავალსა და განვითარებაზე ორიენტირებული პოლიციელია“, – აღნიშნა ვახტანგ გომელაურმა.

შინაგან საქმეთა მინისტრის განცხადებით, მომდევნო 10 წლის განმავლობაში:

– მოხდება საპოლიციო ძალების სრული გადამზადება, სპეციალური მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის მასშტაბური განახლება. კრიმინალური პოლიციის რეფორმის ფარგლებში, 2025 წლისთვის დასრულდება საგამოძიებო, საუბნო და ოპერატიული მიმართულებების გამიჯვნა;

– 2030 წლამდე გაგრძელდება დიდი ქალაქების პოლიციის დანაყოფებში ბავშვზე მორგებული სივრცეების შექმნა, ასევე, არასრულწლოვანთა საქმეების სპეციალიზებული დანაყოფი, დედაქალაქის გარდა, მთელი ქვეყნის მასშტაბით შეიქმნება;

– დაინერგება დანაშაულის შეტყობინების აპლიკაცია, რომელიც მომხმარებელს შესაძლებლობას მისცემს, სამართალდარღვევის ფაქტის შესახებ მონაცემი როგორც ღიად, ასევე, ანონიმურად მიაწოდოს სამინისტროს შესაბამის დანაყოფს;

– უახლოეს ხანში, საპატრულო პოლიციის მომსახურების ცენტრები გაიხსნება გურიის, იმერეთისა და შიდა ქართლის რეგიონებში, მნიშვნელოვანი რეფორმები გრძელდება მომსახურების სააგენტოში;

– ათწლიან გეგმაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა სასაზღვრო პოლიციის რეფორმირებასა და შესაძლებლობების გაზრდას, რისთვისაც რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი იგეგმება. სრულად განახლდება ყველა სასაზღვრო სექტორი, სახელმწიფო საზღვარი სრულად აღიჭურვება საზღვრის დაკვირვების თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით, გაძლიერდება სანაპირო დაცვის ფლოტი. სასაზღვრო პოლიციის სარგებლობაში არსებულ ყველა ვერტმფრენს ჩაუტარდება კაპიტალური რემონტი და მოდერნიზაცია. იგეგმება სასაზღვრო პოლიციისთვის 2 ახალი შვეულმფრენის შეძენა;

– ქვეყნის ყველა სასაზღვრო-გამშვები პუნქტი, ქალაქი და საავტომობილო მაგისტრალი სრულად გადაიფარება 13 000-მდე, როგორც ზოგადი ხედვის, ასევე, ე.წ. ჭკვიანი და სახის ამომცნობი კამერით;

– 2030 წლამდე, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აშენდება და განახლდება 150 სახანძრო-სამაშველო პუნქტი;

– პოლიციელებისთვის ღირსეული სოციალური გარანტიების შექმნა სამინისტროსთვის პრიორიტეტულია – ათწლიან პერიოდში გაგრძელდება შრომის ანაზღაურების ეტაპობრივი ზრდა;

– სამინისტროს სხვადასხვა დეპარტამენტისთვის 60-ზე მეტი ახალი შენობა უკვე აშენდა. მომავალი ათი წლის განმავლობაში, კვლავ დაგეგმილია ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება. აშენდება: პოლიციის 30 შენობა; სასაზღვრო პოლიციის 20 შენობა; საგანგებო სიტუაციების 90 პუნქტი; დროებითი მოთავსების 2 იზოლატორი; 1 საექსპერტო შენობა; განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის 2 ობიექტი; შსს-ს არქივის შენობა; მიგრაციის დეპარტამენტის 1 შენობა.

ღონისძიების დასასრულს, შინაგან საქმეთა მინისტრმა ხაზი გაუსვა სამინისტროს პროექტების წარმატებით განხორციელებაში მთავრობისა და საერთაშორისო პარტნიორების გვერდში დგომას, რისთვისაც მათ მადლობა გადაუხადა.

რა თანხა გამოიმუშავეს ქართულმა კლუბებმა ევროთასებზე?

ახალი საფეხბურთო სეზონი ნელ-ნელა იკრებს ძალას და ევროთასების ჯგუფური ეტაპისკენ მიმავალ გზაზე კლუბები ერთმანეთს არ ზოგავენ. სამწუხაროდ, ოთხი ქართულ კლუბიდან ევროთასებს მხოლოდ ერთი, ბათუმის „დინამო“ შემორჩა, რომელიც 5-12 აგვისტოს, გასვლა-მიღების პრინციპით, ორ შეხვედრას გამართავს თურქულ „სივასპორთან“. გია გეგუჩაძის გუნდმა ბორისოვოს „ბატე“ დაამარცხა და თან ისე, ქომაგი აღფრთოვანებაში მოიყვანა. უფრო მეტიც, ბელორუსში 4:1-ით მოგების შემდეგ, მეტოქე გუნდის თავკაცმა პრესკონფერენციაზე თქვა, ასეთი შეურაცხყოფა ჩემთვის ჯერ არ მოუყენებიათო.

ევროთასებზე ასპარეზობა ფულით ფასდება და ახლა უეფა ქართულ კლუბებს გარკვეულ თანხას ჩაურიცხავს. გორის „დილამ“ და „გაგრამ“ კონფერენს ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპიდან გამოვარდნის სანაცვლოდ, 150 000 ევრო მიიღეს, პლუს 100 000 ევრო – თითოეულს, ერთ ეტაპზე მონაწილეობის სანაცვლოდ ერგო და ჯამში, ორივე კლუბმა 250 000 ათასი ევრო გამოიმუშავა, რაც 900 ათას ლარზე ცოტა მეტია.

თბილისის „დინამომ“ ასპარეზობა კი ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე დაიწყო, სადაც პირველ ეტაპზე გამოვარდა, თუმცა ჩემპიონთა ლიგაზე მაინც სხვა თანხებია. კონფერენს ლიგას საქართველოს მოქმედი ჩემპიონი მეორე რაუნდში დაემშვიდობა. კონფერენს ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპიდან გამოვარდნის სანაცვლოდ, „დინამო“ 350 000 ევროს მიიღებს, ევროტურნირებზე ორი ეტაპის (ერთი – ჩემპიონთა ლიგაზე, მეორე – კონფერენს ლიგაზე) თამაშის სანაცვლოდ კი, 200 000 ევრო დაემატება. ამას გარდა, ევროტურნირებზე მონაწილე ყველა ჩემპიონ კლუბს უეფა 260 000 ევროს გადასცემს. ჯამში, თბილისური კლუბი, წლევანდელი ევროტურნირებიდან 810 000 ევროს მიიღებს, რაც დღევანდელი კურსით, 3 მილიონ ლარზე მეტია.

ქართული კვარტეტიდან ყველაზე მეტი უკვე გამოიმუშავა ბათუმის „დინამომ“. აჭარლებს კონფერენს ლიგაზე 3 ეტაპის თამაშის სანაცვლოდ, გარანტირებული აქვთ 300 000 ევრო და თუნდაც „სივასპორთან“ დამარცხდნენ (არადა, რატომ უნდა დამარცხდნენ?!), დამატებით 550 000 ევროს მიიღებენ. ბათუმელებმა უკვე გარანტირებულად გამოიმუშავეს 850 000 ევრო, ხოლო თურქული კლუბის ბარიერის დაძლევის შემთხვევაში, მილიონ 50 000 ევროს გაინაღდებენ. თურქების შემდეგ, ბათუმელებს კონფერენს ლიგის პლეი-ოფი ელით და თუ ჯგუფში მოხვდებიან, ამ ეტაპზე გასვლის სანაცვლოდ, დამატებით 2 800 000 ევროს მიიღებენ.

ძიუდოისტები დაბრუნდნენ და თან სასჯელი ჩამოიტანეს

ტოკიოს ოლიმპიდიდან საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები დაბრუნდა. ოქროსმედალოსან ლაშა ბექაურს, თანასოფლელებმა არნახული დახვედრა მოუწყვეს, თუმცა არხილოსკალოელთა გარდა, აეროპორტში მთავრობის წარმომადგენლებიც მრავლად იყვნენ. ჩემპიონს დედაქალაქის მერი კახი კალაძე, კახეთის დეპუტატი დავით სონღულაშვილი და სხვა ოფიციალური პირებიც შეეგებნენ. ოლიმპიადაზე ძიუდოისტთა მიერ მოპოვებული 4 მედალი, არა მარტო ქართული ძიუდოს ისტორიაშია საუკეთესო და არნახული, არამედ, საბჭოთა კავშირის დროსაც რომ შევადაროთ, ასეთი რამ არ მომხდარა – 7 წონიდან, ქართველებმა 4 ფინალში იჭიდავეს.

პარალელურად, ისიც გაირკვა, რომ ქართველი ძიუდოისტებიდან ორს, ტოკიოში აკრედიტაციები გაუუქმეს და უთხრეს, რომ მათ ოლიმპიური სოფელი უნდა დაეტოვებინათ. ქართველები მაინც მოდიოდნენ, თუმცა სასჯელი აშკარად არასასიამოვნოა. როგორც იაპონური მედია იუწყება, ორმა ქართველმა ძიუდოისტმა, რეგულაციების დარღვევით, ოლიმპიური სოფელი დატოვა და ტოკიოს ღირსშესანიშნაობები დაათვალიერა. შედეგად, ორივე მათგანს აკრედიტაცია ჩამოერთვა და ოლიმპიური სოფლის დასატოვებლად, სამდღიანი ვადა მიეცა. მართალია, იაპონელები არ ასახელებენ, რომელმა ქართველმა ძიუდოისტებმა დაარღვიეს რეგულაციები, მაგრამ ესენი ჩვენი ვერცხლის ბიჭები – ვაჟა მარგველაშვილი და ლაშა შავდათუაშვილი არიან.

იაპონიაში ოლიმპიადის ისტორია გადაიწერა

ოლიმპიურ თამაშებზე აქამდე არასოდეს ყოფილა, რომ სპორტის ერთ სახეობაში, ორი პირველადგილოსანი ყოფილიყო. ჰოდა, ეს უცნაური შემთხვევა ტოკიოში დაფიქსირდა. სიმაღლეში ხტომაში, ყატარელმა მუტაზ ესა ბარშიმიმ და იტალიელმა ჯანმარკო ტამბერიმ ერთნაირი შედეგი – 2.37 მეტრი აჩვენეს და თან არცერთს აღარ დარჩა ცდა, რომ მეტოქის შედეგი გაეუმჯობესებინა. სპორტსმენები დაიბნენ, რადგან წესები არ იცოდნენ, მათთან მსაჯი მივიდა. მათ შორის დიალოგს, უცვლელად გთავაზობთ.

მსაჯი: – „გააგრძელებთ შეჯიბრს?“

მუტაზ ესა ბარშიმი: – „შეიძლება, ორი ოქრო გვქონდეს?“

მსაჯი: – „კი, ეს შესაძლებელია!“

ამის შემდეგ, სპორტსმენები ჯერ ერთმანეთს გადაეხვივნენ, შემდეგ კი გიჟური აღნიშვნა დაიწყეს. შედეგად, კვარცხლბეკის უმაღლეს საფეურზე ორივე ავიდა და ორგანიზატორებმაც ორივე ქვეყნის ჰიმნი დაუკრეს.

მესი რიგითი ფეხბურთელია?!

მოგეხსენებათ, ლიონელ მესი და „ბარსელონა“ ერთმანეთთან ახალ კონტრაქტზე ჯერ ვერ შეთანხმდნენ. არადა, კატალონიურმა გრანდმა ახალი სეზონისთვის მზადება დაიწყო და წესით, ლეოც გუნდთან ერთად უნდა იყოს, მაგრამ ამის უფლებას ესპანეთის ფეხბურთის ფედერაცია არ აძლევს.

„ჩვენი კანონმდებლობის მიხედვით, ის ფეხბურთელი, რომელსაც კლუბთან არაფერი აკავშირებს, ვარჯიშებში მონაწილეობას ვერ მიიღებს. „ბარსელონამ“ გვთხოვა, რომ ლეოსთვის გამონაკლისი დაგვეშვა და სანამ ახალი ხელშეკრულება გაფორმდებოდა, მისთვის „ბარსასთან“ ერთად მზადების უფლება მიგვეცა. ჩვენ ამას ვერ დავუშვებთ, რადგან კანონი ყველასთვის ერთია, ამიტომ როგორც არ უნდა თამაშობდეს ლეო, ამ შემთხვევაში, ის რიგითი ფეხბურთელია და კანონს უნდა დაემორჩილოს“, – ნათქვამია ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის განცხადებაში.

40 მილიონი კონტრაქტზე უარის სანაცვლოდ

მსოფლიოს ერთ-ერთი ძვირადღირებული ფეხბურთელი კილიან მბაპე გახლავთ. ფრანგი შემტევის ფასი, მინიმუმ, 160 მილიონი ევროა და რა თქმა უნდა, ასეთი თანხის გადახდა ბევრ კლუბს არ ძალუძს. მბაპეს შეძენა ყველაზე მეტად მადრიდის „რეალს“ უნდა, თუმცა საყოველთაო კრიზისის ფონზე, თანხა „სამეფო გუნდისთვისაც“ კი მსუყეა, თუმცა კლუბის პრეზიდენტმა, ფლორენტინო პერესმა საინტერესო გამოსავალი იპოვა.

მოგეხსენებათ, მბაპეს ფრანგულ „პსჟ“-სთან კონტრაქტი 2022 წლის გაზაფხულზე უმთავრდება. ფრანგული კლუბი მაქსიმუმს აკეთებს იმისთვის, რომ მბაპემ ახალი ხელშეკრულება გააფორმოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, გაისად გუნდს უფასოდ დატოვებს. ჰოდა, სწორედ ეს გამოიყენა პერესმა და მბაპეს 40 მილიონი ევრო შესთავაზა იმის სანაცვლოდ, რომ მან ფრანგებთან ხელშეკრულება არ გააფორმოს და გაისად გუნდი თავისუფალი აგენტის სტატუსით დატოვოს. ეს გარიგება ორივე მხარეს აწყობს – ფეხბურთელი არაფერში 40 მილიონს მიიღებს, „რეალი“ კი 160 მილიონის ნაცვლოად, 40 მილიონს გადაიხდის. დაზარალებული მხოლოდ „პსჟ“ გამოდის და არ არის გამორიცხული, ამის გამო, ფრანგები სასამართლოშიც წავიდნენ.

შევჩენკო უკრაინის ნაკრებიდან წავიდა

უკრაინის ნაკრები მთავარი მწვრთნელის გარეშე დარჩა. ანდრეი შევჩენკომ, რომელმაც გუნდი ევროპის წლევანდელ ჩემპიონატზე 14-ფინალმდე მიიყვანა, ახალი კონტრაქტის გაფორმებზე უარი თქვა. როგორც უკრაინული მედია იუწყება, შევამ სამწვრთნელო შტაბისთვის (საკუთარი თავისთვისაც), წლიურ ჯამაგირად მთლიანად 3 მილიონი დოლარი მოითხოვა, უკრაინის ფედერაცია კი მხოლოდ 1.5 მილიონის გადახდას დათანხმდა. მოლაპარაკება ვერ შედგა და შევჩენკოც ნაკრებს დაემშვიდობა.

უკრაინელი გულშემატკივარი ფედერაციის გადაწყვეტილებას არ დაეთანხმა და მწვრთნელის მხარე დაიჭირა, აქაოდა, 3 მილიონი ის მინიმუმია, რომელიც ამ დონის სპეციალისტს უნდა ჰქონდესო.

მამარდაშვილმა „ვალენსიას“ გეგმები აურია

20 წლის ქართველი კიპერი, გიორგი მამარდაშვილი ესპანურმა „ვალენსიამ“, თბილისის „ლოკომოტივიდან“, ერთწლიანი იჯარით წაიყვანა. მაშინვე ითქვა, რომ ესპანური კლუბი ქართველ კიპერს დაუკვირდებოდა და იმ შემთხვევაში, თუ მოეწონებოდა, დაიტოვებდა. ამისთვის, გიორგის „ვალენსიას“ მეორე გუნდში უნდა ეასპარეზა, მაგრამ ისე მოხდა, რომ ამხანაგური მატჩისთვის, მთავარ გუნდს ერთი მეკარე დაუშავდა, ძირითად კიპერს კი ვირუსი შეეყარა. შესაბამისად, მთავარი მწვრთნელი იძულებული გახდა, კარში სწორედ მამარდაშვილი ჩაეყენებინა. პირენეული მედია ვარაუდობდა, რომ ახალგაზრდა ქართველი დაკისრებულ მოვალეობას თავს ვერ გაართმევდა, თუმცა მამარდაშვილმა საუცხოო მატჩი ჩაატარა. ამის შემდეგ, მწვრთნელმა გიორგი მეორე შეხვედრაშიც ათამაშა, შემდეგ მესამეში და...

„ქართველი მეკარე ისე თამაშობს, რომ არანაირ კითხვის ნიშანს არ ტოვებს. ჩვენ სერიოზულად ვფიქრობთ მთავარი მეკარის გაყიდვასა და მამარდაშვილის დატოვებაზე. გუნდს ფული სჭირდება და ამიტომ, ძირითადი მეკარე შეიძლება გავასხვისოთ, ნომერ პირველი კარის დარაჯი კი მამარდაშვილი გახდეს“, – აცხადებენ „ვალენსიას“ მესვეურები.

შანდორ პეტეფის პოეზია



შანდორ პეტეფი – თავისუფლების, დემოკრატიისა და სიყვარულის პოეტი

უნგრელი პოეტი, შანდორ პეტეფი მშობლების გაკოტრების გამო, იძულებული გახდა, სწავლისათვის თავი დაენებებინა და მოხეტიალე ცხოვრება დაეწყო. მუშაობდა სტატისტად, გამწესდა ჯარისკაცად, იყო მოხეტიალე დასის მსახიობი და მოდების ჟურნალის რედაქტორის თანაშემწე. პირველი ლექსი „მსმელი“ 1842 წელს გამოაქვეყნა. ვერეშმარტის დახმარებით კი, პირველი კრებული დაბეჭდა.

პეტეფი იყენებდა ხალხურ მოტივებს, თუმცა თვალსაჩინო იყო მისი პოეტური ქმნილებების თვითმყოფადი ხასიათიც... პეტეფის ლექსებში მალე გაჩნდა დემოკრატიული სულისკვეთება („ველური ყვავილი“, „მეფეთა წინააღმდეგ“ და სხვ.).

პოეტის სატრფიალო ლირიკამ მწვერვალს მიაღწია ციკლებში – „ეტელკას საფლავის კვიპაროსების რტოები“, „სიყვარულის მარგალიტები“. სამყაროს მტკივნეულ შეგრძნებას გამოხატავს რომანტიკული ციკლი „ღრუბლები“. რეაქციულმა კრიტიკამ, სამშობლოს უნუგეშო მდგომარეობამ და უიღბლო სიყვარულმა პოეტი სულიერ კრიზისამდე მიიყვანა (დრამა „ძუ ვეფხვი და აფთარი“, პოემა „პიშტა სილაი“). შემდეგ კი, მე-19 საუკუნის 40-იანი წლების მეორე ნახევარში, არანთან დამეგობრებამ, იულია სენდრევის სიყვარულმა და მასთან ქორწინებამ კეთილისმყოფელი გავლენა მოახდინა პეტეფის შემოქმედებით ევოლუციაზე („ერთი რამ მაღელვებს“, „სასახლე და ქოხი“ და სხვ.).

უნგრეთის სოციალურმა და პოლიტიკურმა ვითარებამ პეტეფის მთელი შემოქმედება რევოლუციურ-დემოკრატიულ პლატფორმაზე დააყენა.

1847 წელს სათავეში ჩაუდგა „ახალგაზრდა უნგრეთის“ ორგანიზაციას. მონაწილეობდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის „12 პუნქტის“ შემუშავებაში. პეტეფიმ შექმნა დემოკრატიულ ლიტერატურისათვის მებრძოლ ახალგაზრდა მწერალთა ჯგუფი „ათეულის საზოგადოება“. 1849 წლის მარტიდან, პეშტის რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი გახდა; 1849 წლიდან იყო ბემის ადიუტანტი.

საბრძოლო ჰიმნად გაისმოდა პეტეფის ლექსები – „ეროვნული სიმღერა“, „საბრძოლო 1792 სექტემბრის სიმღერა“ და სხვ.

პეტეფის შემოქმედებას ერთგვარად აჯამებს პოემა „მოციქული“.

26 წლის პეტეფი მეფის რუსეთის კაზაკებთან ბრძოლაში დაიღუპა. ის მსოფლიო ლიტერატურაში თავისუფლებისა და სიყვარულის პოეტად შევიდა. პეტეფის ნაწარმოებები თარგმნილია მსოფლიოს თითქმის ყველა ენაზე.

„ვერსია“ შანდორ პეტეფის რამდენიმე ლექსს გთავაზობთ.

შენ გაზაფხული გიყვარს

შენ გაზაფხული გიყვარს და გშვენის,
ზამთრის სიცივე გეუცხოვება,
გაზაფხულია ცხოვრება შენი,
შემოდგომაა ჩემი ცხოვრება.
ჩემს სახეს ჩრდილი დაჰკრავს უხეში,
შენი ლოყები ვარდივით ღვივის,
ჩემი თვალების დაღლილ გუგებში
კრთის შემოდგომის დაღლილი სხივი.
გულსაც ნაღველი შემოეპარა,
ჩემს გულს, ნაღველს რომ არ იკარებდა,
და უკვე ერთი ნაბიჯი კმარა,
რომ უცებ დავდგე ზამთრის კარებთან.
შენ რომ წინ წადგა ნაბიჯი სწრაფად,
მეც უკან წავდგა ნაბიჯი ერთი,
ერთი ხნისანი, ზაფხულში, ალბათ,
აღმოვჩნდებოდით ერთურთის გვერდით.

მე ერთი ფიქრი მაწუხებს...

მე ერთი ფიქრი მაწუხებს მარად,
ვაითუ მოვკვდე ლოგინში წყნარად!
ვაითუ მოვკვდე ნელ-ნელა, ნაზად,
მჭკნარი, უსულო ყვავილის მსგავსად.
და როგორც ქრება სანთელი მკრთალი
მეც ისე გავქრე, დავხუჭო თვალი.
არა ასეთი არ მსურს სიკვდილი,
მე მინდა მოვკვდე ბრძოლით, ჭიდილით.
მსურს მუხა ვიყო შეურიგალი
მაპობდეს მეხი, მგლეჯდეს გრიგალი.
მთიდან კლდედ მოვწყდე უზარმაზარი,
რომ ცა და მიწა შევძრა ზანზარით,
როცა დაღლილი მძიმე უღელით
ხალხი აღსდგება მკლავმოუღლელი,
დროშებს დააწერს თავისუფლებას,
და ცა დროშებით დაიღრუბლება;
როცა მტრის რისხვად, ხალხთ გასახარად
ყოველი მხრიდან დაჰკრავს ნაღარა
იქ ჩემი სისხლიც დაიქცეს წმინდა
მე იმ ბრძოლაში სიკვდილი მინდა.
და რომ მომხვდება ბასრი მახვილი,
უკანასკნელი ჩემი ძახილი
დე, დაიკარგოს ქვემეხთა ხმაში
დე, გაქაფული ცხენებით მაშინ
ჩემს მკვდარ სხეულზე გადითქარუნონ,
ოღონდ ჩამძახონ სასიხარულო
მტრის დამარცხების ხმა დარხეული...
დე, გადიქელოს ჩემი სხეული!
შემდეგ იქნება დაღუპულთ გლოვაც,
მაშინ შეკრებენ ჩემს ძვალთა გროვას,
ზარის გუგუნში დროშებს გაშლიან
დროშებს ევლება შავი არშია
და დაგვმარხავენ საფლავში ერთად
მათ, ვინც გასტეხეს სიმაგრე მტერთა,
ვინც საოცნებო დროშა გაშალა,
თავისუფლებას ვინც ენაცვალა.

მიყვარხარ ძლიერ... ძლიერ...

მიყვარხარ ძლიერ... ძლიერ...
რაც გადის დრო და ხანი,
მე უფრო მეტად მიყვარს
შენი პატარა ტანი.
შენი შავი თმის ბუჩქი,
ეგ თეთრი შუბლის სერი,
თვალები გიშრისფერი,
ლოყები ვარდისფერი,
შენი თითები მიყვარს,
ორი პატარა თათი,
ო, იცი, როგორ მიყვარს
ოდნავ შეხება მათი,
ო, იცი, როგორ მიყვარს
გამოუთქმელი ენით?-
შენი გრძნობების სიღრმე,
სულის სიმაღლე შენი,
მე დარდიც მიყვარს შენი,
შენი ღიმილიც ფართო,
მე ცრემლიც მიყვარს შენი,
შენი კისკისიც მართობს,
მე შუქი მიყვარს შენი,
რა არის მისი ფასი!
მე ჩრდილიც მიყვარს შენი,
მზის დაბნელების მსგავსი.
მიყვარხარ ძლიერ, ძლიერ...
მწვავს შენი ტრფობის ალი,
მიყვარხარ ძლიერ, ძლიერ...
მთელი გრძნობით და ძალით.
მთელი სამყარო ვრცელი
შენით არსებობს ჩემთვის,
რაზეც კი ვფიქრობ, ყველა
ფიქრს შენზე ფიქრი ერთვის.
ძილში ჩემთან ხარ სიზმრად,
ფიქრში ჩემთან ხარ დღისით,
გულის ძგერის ხმა მესმის-
შენი ხმა არის ისიც.
შენთვის მივწვდები მწვერვალს,
დიდების ყველა მნათობს,
დიდებას დავთმობ შენთვის,
შენთვის მწვერვალებს დავთმობ.
შენი ოცნებით ვხარობ,
შენს დარდს ვატარებ დარდად,
მე სხვა სურვილი არ მაქვს,
შენი სურვილის გარდა.
მსხვერპლი ყველაზე დიდი
მე მეჩვენება მცირედ,
რადგან შენ გსურდა იგი,
რადგან შენ შემოგწირე.
შენს მცირეოდენ წყენას,
სულ უმნიშვნელო წვრილმანს
სდევს ჩემი სევდა დიდი,
ჩემი ცრემლების წვიმა.
მიყვარხარ ძლიერ, ძლიერ...
მიყვარხარ ცხადად, მალვით,
როგორც აროდეს არვინ
არ ჰყვარებია არვის.
ეს სიკვდილს უდრის თითქმის,
ეს შეუძლოა თითქმის,
შენ ერთს გეკუთვნის ყველა,
რაც სიყვარულად ითქმის:
ძმაც ვარ, სატრფოც ვარ შენი,
მამაც, დაო და დედავ,
მე შეყვარებულს ყველას
შენს სახეებში ვხედავ,
სატრფოვ, შვილო და დედავ,
ჩემო ძვირფასო ცოლო,
ყველას მაგივრად, ერთად
მე შენ მიყვარხარ მხოლოდ.
რა მაბადია ქვეყნად
ამ სიყვარულზე კარგი,
ძლიერ მიყვარხარ, ძლიერ,
ვარ შენი ტრფობის შმაგი.
თუ ტრფობისათვის რამე
ჯილდო იქნება ბოლოს,
ის შენ გეკუთვნის მარტო,
ის შენ გეკუთვნის მხოლოდ.
ნაყოფი მისი არი,
ვინც ნორჩი ნერგი დარგო,
ეს სიყვარული დიდი
შენ შემასწავლე, კარგო.

„ოქროს“ ლიპოსაქცია გახდომის მსურველებისთვის

ლიპოსაქციის პრინციპულად ახალი მეთოდიკა შეიმუშავეს კალიფორნიის უნივერსიტეტის სპეციალისტებმა – მას ოქროს ნანონაწილაკების გამოყენებით ატარებენ და ამ პროცედურას NanoLipo უწოდეს. უფრო ადრე, მედიკოსებმა ჩაატარეს კვლევა, რომლის დროსაც ოქროს ნანონაწილაკებს სიმსივნის შიგნით ათავსებდნენ, შემდეგ კი მას ინფრაწითელი გამოსხივებით აცხელებდნენ. შედეგად, კიბოს უჯრედები ეფექტურად იშლებოდა, ჯანმრთელი უჯრედი კი დაუზიანებელი რჩებოდა. ახლა, ზუსტად მსგავს პროცედურას სწავლულები ცხიმოვან ქსოვილთან დაკავშირებითაც გვთავაზობენ. ახალი მეთოდიკით, ნანონაწილაკები შეჰყავთ ცხიმდაგროვების ზონაში, შემდეგ კი პაციენტის სხეულის ეს ნაწილი ინფრაწითელი შუქით ცხელდება. ვინაიდან ცხიმი შედარებით დაბალ ტემპერატურაზე დნება, ქსოვილების სხვა უჯრედები ვერ ასწრებს დაზიანების მიღებას. ამის შემდეგ, სპეციალისატები, ლიპოსაქციის ნემსის საშუალებით, გამდნარ ცხიმს ამოქაჩავენ. ექიმების მტკიცებით, ლიპოსაქციის ასეთი მეთოდი გაცილებით უსაფრთხოა ორგანიზმისთვის. ტრადიცული პროცედურებისას, სპეციალისტს ნემსი მკვრივ ცხიმში შეჰყავს, მისი ამოტუმბვა კი გვერდით არსებულ ქსოვილებსაც აზიანებს. ჯერჯერობით, ახალ ტექნოლოგიას სწავლულები აქტიურად სცდიან ცხოველებზე, მაგრამ როგორც ვარაუდობენ, უკვე წლის ბოლოს, კლინიკურ ცდებსაც ჩაატარებენ.

კოღო ყველაზე საშიში „ცხოველია“

სწავლულებმა დედამიწის ყველაზე საშიში, მკვლელი-ცხოველების რეიტინგი შეადგინეს. საამისოდ, მსოფლიოს მასშტაბით, მათ ადამიანების დაღუპვის სტატისტიკური მონაცემები გააანალიზეს. გავრცელებული მოსაზრების საწინააღმდეგოდ, ამ რეიტინგს ზვიგენი ან ნიანგი კი არ ჩაუდგნენ სათავეში, არამედ... კოღო. აღსანიშნავია ისიც, რომ არც ერთი მტაცებელი არ შესულა ყველაზე საშიში ცხოველების პირველ ათეულში. ზვიგენი მხოლოდ მე-15 ადგილს იკავებს, რადგან მისი მიზეზით, წელიწადში, დაახლოებით, 10 ადამიანი კვდება. ამდენივე ადამიანური სიცოცხლე ადევთ კისერზე მგლებს. წელიწადში 100 ადამიანს კლავენ ლომები და სპილოები, 500-ს – ჰიპოპოტამი, 1000-ს – ნიანგი, 2000-ს – გელმინტები, 9 ათასს – ბუზი „ცეცე“. ცოფიანი ძაღლების მსხვერპლი, წელიწადში 40 ათასი ადამიანია. გველის ნაკბენით 50 ათასამდე იღუპება. საინტერესოა, რომ რეიტინგში შეიყვანეს ადამიანიც – თავის მსგავსებს, ის წელიწადში 475 ათასს კლავს. პირველი ადგილი, დიდი განსხვავებით, კოღოებმა – მალარიის გადამტანებმა დაიკავეს. ერთ წელიწადში, ეს დაავადება 750 ათას ადამიანზე მეტს ისტუმრებს იმქვეყნად. აქედან გამომდინარე, დედამიწის ყველაზე საშიშ „ცხოველად“ სპეციალისტებმა კოღო აღიარეს.

ამერიკელებს უსიამოვნო სუნი აუკრძალეს

აშშ-ს ქალაქ ბიუერინის ხელისუფლებამ მიიღო კანონი, რომელმაც ამ 50-ათასიანი დასალების მცხოვრებთა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ახალი კანონით, საზოგადოებრივი თავშყრის ადგილებში იმ ადამიანების გამოჩენა იკრძალება, რომელთაც ცუდი სუნი ასდით. ქალაქის ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ მათი ინიციატივა ადგილობრივების კომფორტსა და სიმშვიდეს უზრუნველჰყოფს. პირადი ჰიგიენის დაუცველობა მოქალაქეებს სერიოზული ჯარიმით ემუქრება. გარდა ამისა, მსხვილი თანხებით დაჯარიმდებიან ბილწსიტყვაობის მოყვარულებიც. ახალი კანონი, ერთი მხრივ, მოქალაქეების კეთილდღეობაზე ზრუნავს, თუმცა არის მეორე მხარეც და ბევრი ადამიანი უკმაყოფილოა ამ სიახლით. ადამიანის უფლებათა დამცველებიც პროტესტს გამოთქვამენ, მათი განცხადებით, კანონი ანტიკონსტიტუციურია და უსახლკაროების უფლებებს არღვევს.

გულის პრობლემები გამელოტებას იწვევს

იაპონელი მეცნიერების აზრით, მამაკაცებს, რომლებიც მელოტდებიან, გულის პრობლემები არამელოტებზე ხშირად აწუხებთ. 37 ათასი ადამიანის გამოკვლევების შედეგად, სწავლულებმა აღმოაჩინეს, რომ თმაგაცვენილი მამაკაცების 32%-ზე მეტს გულის იშემიური დაავადებები აღენიშნებოდათ. ბრიტანური ორგანიზაცია "გულის ფონდის" წარმომადგენლები კი აცხადებენ, რომ მამაკაცებმა ყურადღება არა თმას, არამედ, წელის ზომას უნდა მიაქციონ. ძლიერი სქესის ნახევარს თმა 50 წლის ასაკში უთხელდება, 70 წლისას კი სრული ცვენა ეწყება.

ტოკიოს უნივერსიტეტის მკვლევარებმა თმის ცვენა გულის დაავადებებს დაუკავშირეს. მათი თქმით, თავის შუა ნაწილში, ეგრეთ წოდებულ, გვირგვინზე შეთხელება, სწორედ გულის კორონარულ დაავადებებთან ასოცირდება, თუმცა ეს არგუმენტი საბოლოოდ არ დადასტურებულა. ზუსტი მიზეზის დადგენამდე, უმჯობესია, მამაკაცმა თმის ეს ნაწილი გააკონტროლოს, ყურადღება გაამახვილოს დიეტებსა და ფიზიკურ დატვირთვაზე, რათა გულსისხლძარღვთა დაავადების განვითარების რისკები შეამციროს.

ცაციაობა დაბადების დროს უკავშირდება



კვლევების შედეგად, სწავლულებმა დაადგინეს, რომ ზამთარში დაბადებული ბიჭები უფრო ხშირად არიან ცაციები, ვიდრე ისინი, რომლებიც ზაფხულში მოევლინნენ ქვეყანას. ვენის უნივერსიტეტის სპეციალისტებმა, 13 ათასი უფროსი ასაკის ადამიანი გამოიკვლიეს. მათგან ქალების 7.5% და მამაკაცების 8.8% ცაცია აღმოჩნდა. ამასთან, ისიც დადგინდა, რომ ძლიერი სქესის წარმომადგენლებში, ნოემბრიდან იანვრის ჩათვლით დაბადებულებს შორის, უფრო მეტი ცაცია იყო, ვიდრე თებერვალ-ოქტომბერში (შესაბამისად, 10.5% და 8.2%).

მკვლევარები ამბობენ, რომ სეზონურობა ჰორმონების დონეს უკავშირდება, რომელიც ცაციაობის ალბათობას განსაზღვრავს. მიიჩნევა, რომ ტესტოსტერონის მაღალი დონე ჩანასახის განვითარების დროს, ადამიანს ცაციად აქცევს. რაც გრძელია დღე, მით მაღალია ტესტოსტერონი, რაკიღა ზამთარში დაბადებულებისთვის მთელი ზაფხული მუცლადყოფნის პერიოდია, ისინი უფრო მეტ ჰორმონს იღებენ. ეს ეფექტი მუშაობს მამაკაცების შემთხვევაში, სუსტ სქესთან დაკავშირებით, მსგავსი არ გამოვლენილა.

ნაყინი ყველიანი მაკარონით

ყველი რომ ერთ-ერთი უნიკალური საკვებია, ალბათ, ყველა ვთანხმდებით, თუმცა ისიც ფაქტია, რომ ყველიანი მაკარონიც უამრავ ადამიანს უყვარს. აი, ნაყინი ყველიანი მაკარონით კი, ყველასთვის ნამდვილად სიახლეა. აშშ-ში მდებარე კომპანია Van Leeuwen Ice Cream-მა, რომელიც სახელგანთქმულია თავისი უგემრიელესი ცივი დესერტებით, კომპანია Kraft Macaroni & Cheese-თან თანამშრომლობით, იდეალური ყელის ჩასაკოკლოზინებელი გამოუშვა, რომელიც ხელოვნურ არომატიზატორებს, საღებავებსა და კონსერვანტებს არ შეიცავს. ახალი სახეობის ნაყინი ლიმიტირებული რაოდენობით, ყველისა და მაკარონის ეროვნულ დღეს – 14 ივლისს გამოუშვეს, თუმცა მომხმარებლებში, დიდი მოწონება დაიმსახურა და მარაგიც მალევე ამოიწურა. ნახევარკილოგრამიანი ჭიქა ნაყინის ღირებულება 12 დოლარია.

„ჭკვიანი აბი“ ექიმს ჩაანაცვლებს

სულ რაღაც 77 დოლარად თვეში, პაციენტის ცხოვრების შეცვლა შესაძლებელია. საიდუმლოს ახალი, ტექნოლოგიურად "ჭკვიანი" აბები წარმოადგენენ. სწორედ ამგვარი აბი უკარნახებს ავადმყოფს, როგორ მიიღოს წამალი სწორად. უახლოეს მომავლში, აბები თავისუფალ გაყიდვაში, დიდ ბრიტანეთში გამოჩნდება. აბი მიკროსკოპულ ჩიპს წარმოადგენს, რომელიც პრეპარატის მიღების პროგრამის ყველა დეტალს, მიმღები-პლასტირის საშუალებით იწერს, პლასტირი კი პაციენტის ხელზე ან მხარზეა დამაგრებული. საბოლოო ინფორმაცია გადაეცემა კომპიუტერს ან მობილურ ტელეფონს. აღსანიშნავია, რომ გამოგონება საკმაოდ აქტუალურია, რადგან, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, პაციენტთა 50%, ექიმის მიერ დანიშნულ პრეპარატებს სწორად არ იღებენ. მწარმოებელი-კომპანიის წარმომადგენელთა თქმით, აბი თვალ-ყურს ადევნებს, როდის მიიღო ავადმყოფმა წამალი, რა დოზით უნდა მოხვდეს ის ორგანიზმში, ასევე, როგორია პაციენტის გულისცემის რიტმი და სხეულის ტემპერატურა. აბი აფიქსირებს, საკმარისად სძინავს თუ არა ადამიანს და როგორ ვარჯიშობს. როგორც ვარაუდობენ, ეს სასწაული-აბი ბაზარზე, სექტემბერში უნდა გამოჩნდეს.

კარიესისგან ყველი დაგიცავთ!

ყველს შეუძლია კარიესი აღკვეთოს და კბილის ნადების წარმოქმნის სიჩქარე შეანელოს, რადგან ის ანეიტრალებს მჟავებს პირის ღრუში, – ნათქვამია ახალ გამოკვლევაში. სწავლულებმა აღმოაჩინეს, რომ რძემჟავა პროდუქტი ხელს უწყობს მჟავიანობის დაქვეითებას და პირში ტუტე გარემოს წარმოქმნას, რაც, თავის მხრივ, სტომატოლოგთან ვიზიტების რაოდენობას ამცირებს. გარდა ამისა, მეცნიერებმა გაარკვიეს, რომ ყველი კბილების გარშემო ქმნის დამცავ ფენას. რაც უფრო მაღალია pH (უფრო ტუტე) კბილების ზედაპირზე, მით უკეთაა დაცული კბილები კარიესის წარმოქმნისგან. გამოკვლევაში, რომელიც ამერიკელმა სწავლულებმა ჩაატარეს, 12-დან 15 წლამდე ასაკის 68 მოზარდი მონაწილეობდა. ისინი სამ ჯგუფად დაყვეს – ერთ მათგანს ყოველდღიურად ყველი "ჩედერის" პორციებს აძლევდნენ, მეორეს – უშაქრო იოგურტს, მესამე ჯგუფის წევრებს კი ჭიქა რძეს ასმევდნენ.

კვლევის დასრულების შემდეგ აღმოჩნდა, რომ იმ ბავშვებში, რომლებიც იოგურტს მიირთმევდნენ ან რძეს სვამდნენ, pH თანაბარ დონეზე რჩებოდა, საჭმელის მიღებამდე და მის შემდეგაც. ისინი, რომლებიც ყველს მიირთმევდნენ, აღენიშნებოდათ pH-ის დონის „სწრაფი“ ზრდა, კბილის ემალის ყოველი შემდგომი გასინჯვისას. მკვლევარები მიიჩნევენ, რომ პირის ღრუში ყველი ზრდის ნერწყვის რაოდენობას, რაც ბუნებრივად ხელს უწყობს ორგანიზმში pH-ის ჯანმრთელ დონეს, თანაც ყველში ქიმიური ნაერთებია, რომლებიც კბილებზე დამცავ ფენას წარმოქმნიან. ეს დამატებით იცავს კბილებს ემალის დამშლელი მჟავებისგან.

პასტორი ხალხს მეტეორიზმით „კურნავს“

პასტორი ქრისტო პენელოპა, სამხრეთაფრიკული პროვინცია ლიმპოპოდან, ორიგინალური მეთოდით „კურნავს“ ადამიანებს: ის განკურნების მსურველი მრევლის თავზე ჯდება და ნაწლავურ გაზებს უშვებს. ცოტა ხნის წინ, ამ გასაოცარი პრაქტიკის ამსახველი ფოტოები სოციალურ ქსელში გავრცელდა და დიდი აღშფოთებაც გამოიწვია. აღსანიშნავია, რომ პასტორი პენელოპა, რომელიც „სულიწმინდას შვიდგზის მსახურების“ ეკლესიას ეკუთვნის, ადრე საკუთარ მრევლს გველების ჭამას აიძულებდა, რათა ისინი რწმენაში გამოეცადა. როგორც ადგილობრივი მედია წერს, პენელოპას მრევლის ზოგიერთი, თავგადაკლული წარმომადგენელი თვეობით ელის, რათა ეგრეთ წოდებული, „წმინდა დარტყმა“ გამოსცადოს და იმედოვნებს, რომ ამით მისი ბედი სასიკეთოდ შემობრუნდება. თავად პასტორი ამკიცებს, რომ გაზების გამოშვების პრაქტიკა ბიბლიას არ ეწინააღმდეგება.

უსაფრთხო შაქარი შექმნეს

ავსტრიელი სწავლულები ვენის ტექნოლოგიური უნივერსიტეტიდან, დიდხანს მუშაობდნენ უსაფრთხო შაქრის მიღების ახალ ტექნოლოგიაზე. შედეგად მიიღეს ერითრიტის – ნატურალური შაქრის შემცვლელის ახლებური ფორმა. როგორც მეცნიერები ამბობენ, ერითრიტი არ იწვევს წონაში მომატებას, კარიესს და არანაირად არ მოქმედებს სისხლში შაქრის დონეზე. სხვათა შორის, დიდი ხანია, ამ პრეპარატს აზიაში იყენებენ. მას ტრადიციულად, მაღალტექნოლოგიური დამუშავების გზით, საფუარებისგან ამზადებენ, თუმცა ავსტრიელმა მკვლევარებმა მისი მიღების უფრო მარტივი და ეკონომიური თვალსაზრისითაც მომგებიანი საშუალება იპოვეს. აღმოჩნდა, რომ სოკოს ერთ-ერთი სახეობა სპეციფიკურ გავლენას ახდენს შაქრის ლერწმის ქიმიურ ელემენტებზე. მეცნიერებმა სოკოს გენეტიკური მოდიფიცირების მეშვეობით, ერითრიტის საჭირო დონემდე წარმოების რაოდენობა გაზარდეს. ამ გზით მიღებული დამატკბობელი, 70-80%-ით, შაქრის ეკვივალენტურია. სწავლულებმა ერითრიტის წარმოების ახალი ტექნოლოგია უკვე დააპატენტეს.

ისეირნეთ და იყავით ჯანმრთელი

15-წუთიანი გასეირნება ადამიანებს სიცოცხლეს უხანგრძლივებს, – ამტკიცებენ ტაივანელი სწავლულები. მათი აზრით, ორგანიზმი რომ ტონუსში იყოს, სულაც არ არის აუცილებელი, თავი ყოველდღიური, 5-კილომეტრიანი გარბენებით დაიტანჯოთ, ან აუზში დრო საათობით გაატაროთ. ტაივანის ჯანმრთელობის ნაციონალური ინსტიტუტის სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ ადამიანები, რომლებიც ყოველდღიურად, სულ რაღაც, მეოთხედ საათს უთმობენ ზომიერ ფიზიკურ დატვირთვას, უფრო დიდხანს ცოცხლობენ. სტატისტიკამ ისიც აჩვენა, რომ სიმსივნით გარდაცვალების ბევრ შემთხვევაში, ლეტალური დასასრულის თავიდან აცილება შესაძლებელი იქნებოდა, თუკი ადამიანები, ელემენტარულად, მეტს იმოძრავებდნენ. სწავლულებმა დაასკვნეს, რომ ყოველდღიურად, სწორედ 15-წუთიან დატვირთვას შესამჩნევი სარგებელი მოაქვს ჯანმრთელობისთვის. ზომიერ დატვირთვაში კი სწრაფი ნაბიჯებით ბანალური გასეირნება იგულისხმება.

გრენლანდიელებს „დიაბეტის გენი“ აღმოუჩინეს

გენეტიკოსებმა კიდევ ერთი წარმატებული ნაბიჯი გადადგეს – მათ გრენლანდიის 2 575 მცხოვრებს (მთელი მოსახლეობის 10%) სისხლის ანალიზი ჩაუტარეს და გამოავლინეს გენეტიკური მუტაცია, რომელიც აქაურებში მეორე ტიპის შაქრიან დიაბეტს იწვევს. დანიელმა და გრენლანდიელმა სწავლულებმა გაარკვიეს, რომ გენ TBC1D4-ის მუტაცია, სისხლში გლუკოზისა და ინსულინის დონეს და დიაბეტის რისკს, საკვების მიღებიდან 2 საათში ზრდის. გენის ეს ვარიანტი მხოლოდ ამ უზარმაზარი კუნძულის მცხოვრებლებში გვხვდება და დაავადების ყველა შემთხვევის 15%-შია მასზე პასუხისმგებელი. კვლევისას მეცნიერთა ყურადღება, გენის სწორედ ამ ვარიანტმა მიიპყრო.

ამ მუტაციის მატარებლების კუნთები ცუდად ითვისებს გლუკოზას, ამიტომ ჭამის შემდეგ, სისხლში შაქრის დონე მკვეთრად მატულობს. ევროპელების გენომში ეს მუტაცია არ არსებობს, გრენლანდიაში კი მას მოსახლეობის 23% ატარებს. მათგან 60%-ს, ვინც ორივე მშობლისგან მიიღო მემკვიდრეობით ეს გენი, მეორე ტიპის შაქრიანი დიაბეტი აწუხებს. მკვლევარები ვარაუდობენ, რომ მუტაცია ბუნებრივი გადარჩევის დროს წარმოიქმნა, როცა კუნძულის მცხოვრებლებმა ტრადიცული საკვები (თევზეული და ნანადირევი, რაც მდიდარია ცხიმებითა და ცილებით, მაგრამ საერთოდ არც შეიცავს ნახშირწყლებს), დიდწილად, თანამედროვე კერძებით ჩაანაცვლეს.

ბებია „ბოინგში“ დასახლდა

აშშ-ს ქალაქ ბენუის მცხოვრები, ჯონ უსერი საკუთარ შვილიშვილებს საუკეთესო ბებიად მიაჩნიათ, რადგან მათთვის, ჯონანთან ყოველი სტუმრობა თავგადასავალია. ეს გასაკვირი ნამდვილად არ არის, რადგან ბებია, რაც უნდა გასაოცარი იყოს, თვითმფრინავში ცხოვრობს. ქალბატონმა უსერმა ჩამოწერილი „ბოინგ 727“ შეიძინა და იქ შესანიშნავი საცხოვრებელი მოიწყო. 42 მეტრის სიგრძის „სახლში“ სამი საძინებელი, მისაღები ოთახი, თანამედროვე სამზარეულო და მდიდრული აბაზანაა. თვითმფრინავში 4 ტუალეტია, თუმცა დიასახლისი არცერთ მათგანში არ აძლევს მოწევის უფლებას სტუმრებს. ჯონანის თქმით, მას საუკეთესო სახლი აქვს, რადგან იქ ყველაფერია, რაც შეიძლება, ადამიანს დასჭირდეს: ტელეფონი, კონდიციონერი, ღუმელი, სარეცხი მანქანა და ჭურჭლის სარეცხი მანქანაც კი.

„ჩემს მეგობრებს ძალიან უყვართ აქ წვეულებების გამართვა, შვილიშვილებისთვის კი სტუმრობა ნამდვილი თავგადასავალია“, – ამბობს ჯონანი. მას ეს თვითმფრინავი მხოლოდ 2 ათასი დოლარი დაუჯდა, თუმცა ამაზე გაჩერებას არ აპირებს – „საშუალება თუ მექნება, მომავალში, „ბოინგ 747“-ის შეძენა მინდა, რომელიც ორსართულიანია. მე კი ყოველთვის მინდოდა, საძინებელი მეორე სართულზე მქონოდა„, – ამბობს ქალბატონი უსერი.

დიდ სიცხეებს ხელოვნური წვიმით ებრძვიან

არაბთა გაერთიანებულ საემიროებში, კერძოდ დუბაიში, აუტანელ, 50-გრადუსიან სიცხესთან საბრძოლველად ხელოვნურ წვიმას იყენებენ. აღსანიშნავია, რომ ძლიერი წვიმის წარმოსაქმნელად, სპეციალურ ტექნოლოგიას იყენებენ, რომელიც ღრუბლებში, დრონების მეშვეობით, ელექტრულ მუხტებს უშვებს. შედეგად, ღრუბლები ერთად ჯგუფდება და ნალექი მოდის. ეს ტექნოლოგია ბრიტანელმა სწავლულებმა შექმნეს, რედინგის უნივერსიტეტიდან. ნალექის წარმოქმნის ბრძანების პარალელურად, დრონები ღრუბლებში ტენიანობასა და ტემპერატურასაც წარმატებით ზომავენ. კვლევების ჩასატარებლად, სპეციალისტებმა 2017 წელს, საემიროებიდან 15 მილიონი დოლარი მიიღეს. შედეგი კი, როგორც ჩანს, საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა.

პერაპარატი ობობას შხამისგან

სწავლულებმა „მწვანე კონტინენტიდან“, ობობას შხამზე დაფუძნებული პრეპარატი შექმნეს, რომელსაც მიოკარდიის ინფარქტის მქონე პაციენტების გადარჩენა შეუძლია. გულის შეტევის შემდეგ, გულში სისხლის ნაკადი მცირდება, რაც ჟანგბადის უკმარისობას იწვევს. ჟანგბადის უკმარისობა უჯრედულ გარემოს მჟავედ აქცევს, მოლეკულურ დონეზე კი, სხეული გულის უჯრედებს „სიკვდილის სიგნალს“ უგზავნის. ათწლეულების განმავლობაში, მეცნიერები ცდილობდნენ ისეთი პრეპარატის შექმნას, რომელიც ამ სიგნალის გაგზავნას შეაჩერებდა, თუმცა უშედეგოდ. ამჯერად, ქვინსლენდისა და ახალი სამხრეთ უელსის მკვლევარებმა დაადგინეს, რომ Fraser Island funnel-ის ჯიშის ობობას შხამში არსებული ცილა Hi1a, გულში მჟავაზე მგრძნობიარე იონურ არხებს ბლოკავს, რაც ხელს უშლის „სიკვდილის სიგნალის“ გადაცემას. შედეგად, პაციენტების გადარჩენის მაჩვენებელი იზრდება. გარდა ამისა, სპეციალისტების აზრით, ამ ცილის საფუძველზე შექმნილ პრეპარატს შეუძლია მნიშვნელოვნად გაახანგრძლივოს დონორული გულის სიცოცხლისუნარიანობა.

მარმელადი კიტრის მწნილისგან

აშშ-ში, ქალაქ ნეშვილში მდებარე საკონდიტრო East Tasty Candy Company-მ, ცოტა ხნის წინ, საღეჭი კანფეტების საცდელი პარტია გამოუშვა, რომელსაც კიტრის მწნილის წვენის გემო აქვს. მისი ავტორია მთავარი კონდიტერი, ჟორდან ტეპერი, რომელიც მუდმივად ახალი გემოების ძიებაშია, ერთმანეთს უხამებს სხვადასხვა პროდუქტებს და ქმნის კანფეტებს განსაკუთრებული გემოებით. როგორც ჩანს, ახალი პროდუქტი – კიტრის მწნილის მარმელადი, წარმატებული იქნება, რადგან ტემპერმა, დამარინადებული კიტრის მოყვარულებისგან უამრავი პოზიტიური გამოხმაურება უკვე მიიღო.

კორონავირუსი ინტელექტს აქვეითებს

კორონავირუსს შეუძლია ადამიანის ინტელექტის შეუქცევადად დაქვეითება, – ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ლონდონის საიმპერატორო კოლეჯისა და კემბრიჯის უნივერსიტეტის სწავლულები. ბრიტანელმა სპეციალისტებმა ექსპერიმენტი 81 337 ადამიანზე ჩაატარეს, რომელთაგან 12 689-ს, სხვადასხვა გართულებებით, გადატანილი ჰქონდა ვირუსი. მოხალისეებმა ტესტი გაიარეს, რომლითაც მათი კოგნიტური შესაძლებლობები შემოწმდა. მკვლევართა თქმით, ვირუსგადატანილთა უმრავლესობას, დავალების შესრულებისას პრობლემა უფრო ხშირად ექმნებოდა, ვიდრე მათ, ვისაც COVID-19 ჯერ არ შეხებია. ყველაზე მეტად კი პრობლემა იმ პაციენტებს ჰქონდათ, რომლებსაც ავადმყოფობისას ფილტვების ხელოვნური ვენტილაცია დასჭირდათ – მათი ინტელექტის კოეფიციენტი შვიდი პუნქტით დაეცა. სწავლულებმა ისიც გაარკვიეს, რომ ეს პრობლემა შეუქცევადია.

ვაქცინა აბებშიც იქნება

დღესდღეობით, კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინა მხოლოდ ინექციის სახით არსებობს, თუმცა ახლო მომავალში, მას აბებშიც უნდა ველოდოთ. ამ თემაზე უკვე მუშაობს ფარმაცევტული კომპანია Iconovo, რომელიც ვაქცინის შესაქმნელად, სტოკჰოლმში არსებულ იმუნოლოგიის ცენტრ ISR0-თან თანამშრომლობდა. მათ ჯერჯერობით მცირე ზომის ინჰალატორი შექმნეს, რომელიც კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინას შეიცავს. სწავლულები იმედოვნებენ, რომ მათი პროდუქტი მნიშვნელოვან როლს შეასრულებს პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლაში. პრეპარატი მხოლოდ მღრღნელებზეა გამოცდილი, თუმცა ორიოდე თვეში კლინიკური ცდებიც დაიწყება. დღეს არსებული ვაქცინებისგან განსხვავებით, ისინი ხელოვნურად შექმნილ კორონავირუსის ცილებს იყენებენ. ფხვნილს შეუძლია 40 გრადუს ტემპერატურასაც გაუძლოს. გარდა ამისა, კომპანია Pfizer-ის წარმომადგენლების განცხადებით, წლის ბოლომდე ხელმისაწვდომი იქნება აბიც, რომლითაც კორონავირუსის მკურნალობა სახლის პირობებში, სიმპტომების გამოვლენისთანავე შეგვეძლება.

ფეხსაცმელი ბრილიანტებით მამაკაცებისთვის

ბრილიანტები საუკეთესო მეგობარი არა მხოლოდ სუსტი სქესისთვის, არამედ, მამაკაცებისთვისაც ყოფილა. ჩანს, ამ დევიზით იხელმძღვანელა Dom Borghese-ის დიზაინერმა, კრისტოფერ შელისმა, როდესაც ძლიერო სქესისთვის, მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული ფეხსაცმელი შექმნა. ღვინისფერი ტყავის ფეხსაცმელი ბრილიანტებითა და ოქროთია გაფორმებული და ის 100 ათასი გირვანქა სტერლინგი ღირს. დიზაინერის თქმით, ამ ფეხსაცმლის შექმნაზე სამი წლის განმავლობაში მუშაობდა, შთაგონების წყარო კი დედოფალ ელისაბედ პირველის მდიდრული სტილი ყოფილა. აღსანიშნავია, რომ მოდის ამ სახლმა, მსოფლიოში ერთ-ერთი, ყველაზე ძვირადღირებული პლატინის ქამარიც შექმნა, რომლის ღირებულებაც 60 ათას გირვანქას აღწევს.

ჩრდილოეთის ციალისთვის ფოტოგრაფს ეძებენ

ისლანდიაში მდებარე სასტუმრო Rangb ეძებს ადამიანს, რომელიც სამი თვის განმავლობაში, ჩრდილოეთის ციალის ფოტოებს გადაიღებს და ვიდეოჩანაწერებს გააკეთებს. სანაცვლოდ, ის ოტელში უფასოდ იცხოვრებს. სასტუმრო დედაქალაქ რეიკიავიკთან ახლოს, პატარა ქალაქ ჰედლიში მდებარეობს. მნიშვნელოვანია, რომ ფოტოგრაფს სამუშაო ადგილამდე ჩასვლის ხარჯებსაც აუნაზღაურებენ. პრეტენდენტებმა ანკეტა უნდა შეავსონ, რომელიც შეიცავს კითხვებს ფოტოგრაფიის სფეროში გამოცდილებაზე, სოციალური ქსელებით სარგებლობაზე, მანამდე, ისლანდიაში მოგზაურობასა და კორონავირუსის ვაქცინაციის ჩატარებაზე. ამ საოცნებო ვაკანსიაზე შერჩეულ ფოტოგრაფს სასტუმროში სექტემბრიდან ელოდებიან.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.